# ახალი განათლება

15 – 21 დეკემბერი

ფასი 1 ლარი 70 თეთრი

№39 (753) გამოდის 1998 წლიდან

www.axaliganatleba.ge


## როგორ დავეხმაროთ ბულინგის მსხვერპლსა და ინიციატორს ეფექტიანი ხერხები სასურველი ქცევის დაუფლებისთვის

გვერდი 4

## ეროვნული კონფერენცია მასწავლებლებისთვის

### როგორ განვავითაროთ გამჭოლი კომპეტენციები

გვერდი 6

*კონკურსი უფროსკლასელთათვის — 2016-2017*

## „ტრადიციული თამაშობები“

გვერდი 3

*პროფესიული განვითარება*

## შანსი დაფინანსების მოსაპოვებლად

გვერდი 5

*ინგლისური ენის საღამოები*

## ეროვნული ბიბლიოთეკის მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზი გიწვევთ ინგლისური ენის საღამოებზე

გვერდი 7

# კავკასიის უნივერსიტეტი
# კავკასიის ტურიზმის სკოლა

CAUCASUS UNIVERSITY

CTS
კავკასიის ტურიზმის სკოლა
CAUCASUS TOURISM SCHOOL

** აცხადებს კონკურსს პროფესორის (4 ვაკანტური ადგილი), ასოცირებული პროფესორის (3 ვაკანტური ადგილი) და ასისტენტის (3 ვაკანტური ადგილი) თანამდებობების დასაკავებლად შემდეგ დისციპლინებში:**

ეკონომიკა (1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი);
ტურისტული სერვისის საფუძვლები (1 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი);
საერთაშორისო ტურიზმი (2 პროფესორი, 1 ასოცირებული პროფესორი, 1 ასისტენტი).

**საკვალიფიკაციო მოთხოვნები:**

**ა) პროფესორისთვის**

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 6-წლიანი გამოცდილება.

**ბ) ასოცირებული პროფესორისთვის**

- დოქტორის ხარისხი შესაბამის სფეროში;
- ლექტორად მუშაობის და დისციპლინის შესაბამის სფეროში მუშაობის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

**დ) ასისტენტისთვის**

- დოქტორანტი, რომელსაც სასურველია, ჰქონდეს მოცემულ სფეროში საქმიანობის 2-წლიანი პედაგოგიური ან/და პრაქტიკული გამოცდილება;
- მოცემული დარგის მაგისტრი ან მასთან გათანაბრებული პირი, რომელსაც აქვს მოცემულ დარგში, არანაკლებ, 3-წლიანი მუშაობის გამოცდილება ან/და დარგში/სპეციალობაში სალექციო კურსის წაკითხვის, მინიმუმ, 3-წლიანი გამოცდილება.

**დაინტერესებულმა პირებმა უნდა წარმოადგინონ:**

- კურსის/კურსების სილაბუსი/სილაბუსები;
- CV-რეზიუმე;
- პირადობის მოწმობის ასლი;
- კვალიფიკაციის დამადასტურებელი დიპლომის ასლი (საზღვარგარეთ დაცული ხარისხის შემთხვევაში, ავთენტურობაზე საჭირო დოკუმენტაცია, ხოლო საქართველოში დაცული ხარისხის შემთხვევაში, დიპლომის ნოტარიულად დამოწმებული ასლები);
- სამეცნიერო-პედაგოგიური მოღვაწეობის დამადასტურებელი ცნობა;
- გამოქვეყნებული სამეცნიერო შრომების სია;
- სამეცნიერო კონფერენციებში მონაწილეობის დამადასტურებელი დოკუმენტაცია (ასეთის არსებობის შემთხვევაში).

**კონკურსი ჩატარდება სამ ეტაპად:**

I ეტაპი – წარმოდგენილი დოკუმენტების გადარჩევა;
II ეტაპი – პრეზენტაცია;
III ეტაპი – კონკურსის შეჯამება.

**დაინტერესებულმა პირებმა, გთხოვთ, გამოაგზავნოთ მითითებული დოკუმენტები, შემდეგ მისამართზე: hr@cu.edu.ge**

**გთხოვთ, საგნის დასახელების ველში მიუთითოთ შესაბამისი აკადემიური თანამდებობის და დისციპლინის სახელწოდება!**

**კავკასიის უნივერსიტეტი იტოვებს უფლებას, გადაამოწმოს თქვენ მიერ მოწოდებული ინფორმაცია და დაუკავშირდეს მხოლოდ შერჩეულ კანდიდატებს.**

**საბუთების მიღება: 2017 წლის 15 იანვრიდან 2017 წლის 15 თებერვლის ჩათვლით**


ინფორმაცია

# წინამძღვრიანთკარის სასწავლებლის აღდგენა

სოფელ წინამძღვრიანთკარში რეგიონში ერთადერთი პროფესიული სასწავლებლის სრული რეაბილიტაციის პროექტი განხორციელდა, რომელიც გულისხმობს არა მხოლოდ ისტორიული იერსახის აღდგენას, არამედ მისთვის ფუნქციის დაბრუნებასაც. პირველი ევროპული ტიპის სასწავლებელი საქართველოში, 1883 წელს, ილია წინამძღვრიშვილმა დააფუძნა და ორიენტირებული იყო აგრარულ მიმართულებებზე. განახლებული სასწავლებელი გეგმავს რეგიონის შრომის ბაზარზე მოთხოვნადი ისეთი პროფესიული პროგრამების დანერგვას, რომელიც ხელს შეუწყობს კურსდამთავრებულთა დასაქმებას.

მცხეთის მუნიციპალიტეტის სოფ. წინამძღვრიანთკარში მცხეთა-მთიანეთის რეგიონში პირველი პროფესიული საგანმანათლებლო დაწესებულება – ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი გაიხსნა. ღონისძიებას საქართველოს პარლამენტის განათლების, მეცნიერებისა და კულტურის კომიტეტის თავმჯდომარე მარიამ ჯაში, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების მინისტრის პირველი მოადგილე ქეთევან ნატრიაშვილი, სამინისტროსა და მის სისტემაში შემავალი საადგენტოების, მცხეთა-მთიანეთის ადგილობრივი თვითმმართველობის, დონორი ორგანიზაციებისა და კერძო სექტორის წარმომადგენლები ესწრებოდნენ.

დაწესებულებამ ფუნქციონირება 2016 წელს დაიწყო და შემოდგომაზე პირველი მიღება განახორციელა. ამჟამად, კოლეჯში აგრარული მიმართულების 3 პროგრამა ხორციელდება, მათ შორის, 2 – სამუშაოზე დაფუძნებული (დუალური) მიდგომით. ძირითადად, კოლეჯი აგრარული მიმართულების საგანმანათლებლო პროგრამებზეა ორიენტირებული, თუმცა, სამომავლოდ, დაგეგმილია ტურიზმისა და საინჟინრო მიმართულების კვალიფიკაციების განვითარება, რეგიონის საჭიროებების გათვალისწინებით, რის შედეგადაც, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯი ცენტრალურ ადგილს დაიკავებს რეგიონის სოციოეკონომიკურ ცხოვრებაში.

**ქეთევან ნატრიაშვილი**: *„მართლაც ნიშანდობლივია, რომ ილია წინამძღვრიშვილის სახელობის ისტორიული სასწავლებელი დღეს აგრძელებს და, შეიძლება ითქვას, თავიდან იწყებს ფუნქციონირებას. აღდგა, ასევე, მისი ძირითადი მიმართულება – სოფლის მეურნეობა. საზოგადო მოღვაწემ, ილია წინამძღვრიშვილმა საკუთარი ქონება გადასცა სახელმწიფოს იმისათვის, რომ პირველი სოფლის მეურნეობის მიმართულების სასწავლებელი ჰქონოდა საზოგადოებას.*

*დღეს უკვე სასწავლებელი ძალიან თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამისი პროგრამების დანერგვით იწყებს ფუნქციონირებას და წელს მიიღო ე.წ. დუალურ, ანუ სამუშაოზე დაფუძნებული სწავლების მიდგომით შემუშავებულ პროგრამებზე სტუდენტები. პირველი ნაბიჯები სამი მიმართულებით გადაიდგა და სტუდენტები ისწავლიან თანამედროვე, ევროპული სტანდარტების შესაბამის პროგრამებზე – მეხილეობის, მეცხოველეობის, მეღვინეობის მიმართულებით. თითქმის ყველა მსხვილი კომპანია, რომელიც ამ სფეროში მოღვაწეობს რეგიონში, სასწავლებლის პარტნიორია. ეს ის მიმართულებებია, რომელთა განვითარებასაც განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო უწყობს ხელს.“*

**მარიამ ჯაში**: *„დღეს ოფიციალურად გაიხსნა რეაბილიტირებული და უკვე სრული დატვირთვის რეჟიმისთვის მზად მყოფი პროფესიული განათლების სასწავლებელი. ეს გახლავთ ისტორიული, ილია წინამძღვრიშვილის მიერ დაფუძნებული სასწავლებლის ბაზაზე, გაცოცხლებული დაწესებულება, პირველი სასწავლებელი, უაღრესად მნიშვნელოვანი სოფლის მეურნეობის მიმართულებით როგორც დასაქმების, ასევე თვითდასაქმების ხელშეწყობისთვის, კონკრეტული რეგიონის მასშტაბით.*

*მინდა მივულოცო სასწავლებლის ხელმძღვანელობას და თანამშრომლებს, სტუდენტებს ამ უმნიშვნელოვანესი პროგრამის დაწყება და კიდევ ერთხელ გავუსვა ხაზი, რომ პროფესიული განათლება უმთავრესი მიმართულებაა განათლების სისტემის განვითარებისთვის და ზოგადად საქართველოს სწრაფი განვითარების გზაზე.“*

**თემურ ასათიანი**, ილია წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის დირექტორი: *„ამ ეტაპისთვის გაიხსნა სამი სპეციალობა: ორი – დუალური და ერთი – მოდულური ფორმით. ეს იყო საშემოდგომო მიღებაზე, საგაზაფხულო მიღებისათვის მომზადებულია როგორც წინამძღვრიშვილის სახელობის საზოგადოებრივი კოლეჯის კორპუსი, ასევე თიანეთისა და სტეფანწმინდის სასწავლო კორპუსები. სტეფანწმინდაში გაიხსნება ორი სპეციალობა – სამთო გამყოლი და თექის, თიანეთში იხსნება ხუთი სპეციალობა და ჩვენთან – შვიდი. თიანეთსა და სტეფანწმინდაში დუალური ფორმის სპეციალობები იქნება, ჩვენთან – სამი მოდულური სპეციალობა და დანარჩენი – დუალური სპეციალობები. უკვე დაწყებულია სასადილოს და საერთო საცხოვრებლის კეთილმოწყობის სამუშაოები, რაც უფრო მეტ სტუდენტს მოიზიდავს. საერთო საცხოვრებლის აშენების შემდეგ სხვადასხვა რეგიონებიდან ჩამოსული სტუდენტების მიღების შესაძლებლობა გვექნება.“*

**კონკურსი უფროსკლასელთათვის — 2016–2017**

# „ტრადიციული თამაშობები“

## კონცეფცია

არამატერიალური მემკვიდრეობა საზოგადოების კულტურული ცხოვრების განუყოფელი ნაწილია და მოიცავს ზეპირსიტყვიერებას, როგორც კულტურული მემკვიდრეობის გამოსახვის საშუალებას, ადათ-წესებს, წარმოდგენისა და გამოსახვის ფორმებს, ცოდნასა და ჩვევებს – მათთან დაკავშირებულ საგნებსა და კულტურულ სივრცეებს, ყველაფერს, რაც ტრადიციულ კულტურას უკავშირდება, თაობიდან თაობას ცოდნისა და გამოცდილების სახით გადაეცემა და გაფრთხილებასა და შენარჩუნებას, ხშირ შემთხვევაში კი, დაცვასა და აღორძინებას საჭიროებს.

არამატერიალური კულტურის მნიშვნელობას ადასტურებს იუნესკოს მრავალწლიანი ძალისხმევა მისი დაცვისა და პოპულარიზაციისათვის. 2001 წელს, იუნესკოს მიერ შექმნილ „მსოფლიო ზეპირი და ხელთუქმნელი შედევრების“ ნუსხაში, 19 ნიმუშს შორის, ერთ-ერთი სწორედ ქართული მრავალხმიანობაა. 2013 წლის დეკემბერში იუნესკოს არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვის კომიტეტმა წარმომადგენლობით ნუსხაში „ქვევრის ღვინის დაყენების უძველესი ქართული ტრადიციული მეთოდი“ აღიარა. 2016 წლის 4 დეკემბერს იუნესკოს არამატერიალური მემკვიდრეობის სახელმწიფოთაშორისო კომიტეტმა მსოფლიო არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნუსხაში კიდევ ერთი ქართული ძეგლი შეიტანა – „ქართული ანბანის სამი სახეობის ცოცხალი კულტურა“.

საერთაშორისო აღიარების უპირველესი წინაპირობა არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ეროვნულ და ადგილობრივ დონეზე დაცვა და გაფრთხილებაა. ამ სფეროს წარმატებული დაცვისათვის კი უმნიშვნელოვანესია ახალგაზრდების აქტიური ჩართულობა ტრადიციების მოძიებისა და დაცვისათვის.

უფროსკლასელთა კონკურსი უკვე მეხუთედ ტარდება და წარმატებულ ტრადიციად ჩამოყალიბდა. წლევანდელი კონკურსის თემა **„ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“** არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის დაცვასთან დაკავშირებული საკითხების გადაწყვეტაში სკოლის მოსწავლეების ინტელექტუალური რესურსის ჩართულობის კიდევ ერთი, შესანიშნავი საშუალებაა.

**კონკურსის მიზანია:** საჯარო და კერძო სკოლების მოსწავლეების, მათი ოჯახის წევრების, პედაგოგებისა და ადგილობრივი თემის ჩართვა საქართველოს სხვადასხვა კუთხეში ჯერ კიდევ შემორჩენილი ტრადიციული, ნაკლებად ცნობილი თამაშობების მოძიებასა და ფიქსაციაში.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ სკოლის მოსწავლეებს განურჩევლად ასაკისა – ინდივიდუალურად და ჯგუფურად, პედაგოგის ხელმძღვანელობით, როგორც დამოუკიდებლად, ასევე სკოლებში შიდა შერჩევის წესით.

სავალდებულოა თამაშის აღწერილობას თან ახლდეს მოსწავლეების მიერ გადაღებული თამაშის პროცესის ფოტო და ვიდეომასალა.

**ჩატარების ვადა:** კონკურსი ჩატარდება 2016 წლის ნოემბრიდან 2017 წლის ივნისამდე. ინფორმაცია კონკურსის თაობაზე გავრცელდება გაზეთ „ახალი განათლებით“, ტელევიზიებითა და სხვა საინფორმაციო საშუალებებით.

**განხორციელების მეთოდოლოგია:** კონკურსი ჩატარდება ორ ეტაპად. პირველ ეტაპზე ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com წარმოდგენილი იქნება თამაშის (თამაშების) ზედმიწევნით ზუსტი აღწერა და თამაშის პროცესის ამსახველი ფოტო და ვიდეომასალა. საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენები გადავლენ მეორე ტურში.

მეორე ტურში, ექსპერტების დახმარებით, დახვეწენ წარმოდგენილ ნამუშევარს, საჭიროებისამებრ, დამატებით, გადმოგვიგზავნიან საილუსტრაციო მასალას.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება „არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“ წოდება.

ექსპერტების კონსულტაციების გათვალისწინებით, შესწორებული და შერჩეული ნიმუშების მიხედვით, საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო გამოსცემს ილუსტრირებულ კრებულს, რომელიც, სხვა სამახსოვრო საჩუქრებთან ერთად, გამარჯვებულ მოსწავლეებს გადაეცემათ, ხოლო მოწოდებული ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაშუქდება მასმედიის საშუალებით.

***საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება.***

# კონკურსი უფროსკლასელთათვის 2016–2017 „ტრადიციული თამაშობები“

კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტო, საქართველოს კულტურისა და ძეგლთა დაცვის, საქართველოს განათლებისა და მეცნიერების, საქართველოს სპორტისა და ახალგაზრდობის სამინისტროების, გაზეთის „ახალი განათლება“ და სხვა პარტნიორი ორგანიზაციების მხარდაჭერით, აცხადებს კონკურსს უფროსკლასელთათვის თემაზე **„ტრადიციული თამაშობები ჩემს სოფელში“**.

**კონკურსის მიზანია:**

- გამოავლინოს და დააფიქსიროს უხუცესების მეხსიერებაში დღემდე შემონახული საქართველოს სხვადასხვა კუთხის უძველესი თამაშობები (როგორც ჯგუფური, ისე სამაგიდო);
- გაზარდოს საზოგადოების, განსაკუთრებით ახალგაზრდების ინტერესი მათი კუთხის არამატერიალური მემკვიდრეობის მიმართ;
- დაეხმაროს ახალგაზრდა თაობას არამატერიალური მემკვიდრეობის ნიმუშების მოძიებისა და ფიქსაციის უნარ-ჩვევების ჩამოყალიბებაში;
- ხელი შეუწყოს ძველი ქართული თამაშობების აღდგენა-პოპულარიზაციას.

**კონკურსი მოეწყობა ორ ტურად:**

**პირველი ტური**

გულისხმობს სკოლაში მოსწავლეთა ნამუშევრების პირველად სელექციას, რომელიც სკოლის ადმინისტრაციის მიერ, საკონკურსო პირობების ყველა ნორმის დაცვით, იქნება შერჩეული და გადმოგზავნილი მითითებულ ელმისამართზე aramaterialuri@yahoo.com (იხ. საკონკურსო ნიმუშის წარდგენის ფორმა). საჭიროების შემთხვევაში, სკოლის ხელმძღვანელობამ თავად უნდა გაუწიოს მოსწავლეს ტექნიკური დახმარება.

საინტერესო, იშვიათი თამაშობის წარმდგენნი გადავლენ მეორე ტურში.

**მეორე ტური**

მეორე ტურში გადასული მოსწავლეები, კონკურსის ორგანიზატორებისა და ექსპერტების შენიშვნების გათვალისწინებით, ჩაასწორებენ ნიმუშებს და ხელახლა გადმოგზავნიან.

**ნიმუშის წარდგენის ფორმა**

**თითოეული ნაშრომი უნდა მოიცავდეს:**

**1. ვორდის ფაილში დაწერილ საკონკურსო ნამუშევარს;**

**2. მოსწავლეების მიერ აღწერილი თამაშობის მიხედვით გადაღებულ მაღალი რეზოლუციის ფოტოებს (რაოდენობა შეზღუდული არ არის) და თამაშის/ან მისი ფრაგმენტების/ ამსახველ ვიდეოჩანაწერს.** ფოტოები უნდა გადმოიგზავნოს, ვორდის ფაილში შესრულებულ ნაწერთან ერთად, jpg ფორმატში;

**3. ელემენტზე მუშაობის ამსახველ ფოტომასალას, გადმოგზავნილს ასევე jpg ფორმატით;**

**4. შეძლებისდაგვარად, თამაშობის ამსახველ ვიდეოჩანაწერს (შესაძლებელია გადაღებულ იქნეს მობილური ტელეფონით).**

***სასურველია,* ნიმუში ჩაიწეროს თქვენი რეგიონის (სოფლის, ქალაქის, ქუჩის, უბნის, ოჯახის, და ა.შ.) მკვიდრი მოსახლისაგან.**

***სასურველია*, მოძიებული და ჩაწერილი ნიმუში ფართე საზოგადოებისთვის ნაკლებად იყოს ცნობილი.**

სკოლის შიდა შერჩევის შედეგად შერჩეული საუკეთესო ერთი ან რამდენიმე ნიმუში სკოლამ უნდა გადმოაგზავნოს:

- კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნულ სააგენტოში ელფოსტაზე aramaterialuri@yahoo.com;
- <u>ან</u> გაზეთ „ახალი განათლების“ რედაქციაში;
- <u>ან</u> მოგვაწოდოს ფოსტით „საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს“ მისამართზე (თბილისი, 0105, თაბუკაშვილის ქ. 5).

**ვორდის ფაილი უნდა მოიცავდეს შემდეგ სავალდებულო ჩანაწერებს:**

1. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუში – ***თამაშის დასახელება;***
2. ავტორი – მოსწავლ/ეებ/ის *სახელი, გვარი;*
3. ხელმძღვანელი პედაგოგი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
4. ქალაქი (რაიონი, სოფელი) და სკოლის სრული დასახელება;
5. სკოლის დირექტორი – *სახელი, გვარი, საკონტაქტო ინფორმაცია (ტელ., ელმისამართი);*
6. არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ნიმუშის სხვა დასახელება *(რამდენიმე დასახელების შემთხვევაში, მიუთითეთ ყველა სათაური და დაურთეთ კომენტარი);*

**7. ნიმუშის აღწერა**

აღწერისათვის უპასუხეთ შემდეგ კითხვებს:

- *რას წარმოადგენს თქვენ მიერ შერჩეული თამაში – მოკლე განმარტება თამაშის შესახებ;*
- *სახელწოდება (აგრეთვე, მიუთითეთ თუ არის ცნობილი თქვენ მიერ აღწერილი ნიმუშის განსხვავებული, სხვა სახელწოდება);*
- *ნიმუშის ჩაწერის აღწერილობა – სად, როდის, რისთვის და ვის მიერ იქნა მოთხრობილი და ჩაწერილი ეს ნიმუში, მიუღია თუ არა მონაწილეობა მთხრობელს აღნიშნულ თამაშში და ვისგან აქვს ნასწავლი თავად ეს თამაში;*
- *ტრადიციულად რა დროს, რა შემთხვევაში, რამდენი მონაწილე თამაშობდა მას;*
- *აღწერეთ გარემოება, როდესაც თამაშობენ ამ კონკრეტულ ნიმუშს;*
- *რას უკავშირდებოდა აღნიშნული თამაშობა;*
- *რა ატრიბუტები უკავშირდება/თან ახლავს თამაშის პროცესს (ასეთის არსებობის შემთხვევაში, დააფიქსირეთ ფოტოზე);*
- *სხვა პირობები, რომელიც აუცილებელია აღნიშნული თამაშის დროს;*
- *რა როლი ენიჭება თქვენ მიერ შერჩეულ ნიმუშს საზოგადოების კულტურულ, ან რელიგიურ, ან ყოველდღიურ ცხოვრებაში. დაასაბუთეთ შემოთავაზებული თამაშის მნიშვნელობა (უნიკალობა ან ორიგინალობა) პირადად თქვენთვის (რეგიონისთვის, სოფლისთვის, ოჯახისთვის, სკოლისთვის...), საზოგადოებისთვის.*
- ***აღწერეთ თამაშის პროცესი***

სპეციფიკის გათვალისწინებით, წარმოდგენილ ნაშრომს უნდა ახლდეს შესაბამისი თვალსაჩინო მასალა: ფოტო, ვიდეო (შესაძლებლობის შემთხვევაში), ასევე – ჩანახატი, ჩანახაზი, შაბლონი, სქემა, ესკიზი და სხვა თვალსაჩინო მასალა, საჭიროების მიხედვით.

ნამუშევრებს, სპეციალისტებთან ერთად, განიხილავენ არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ექსპერტები.

**გადმოგზავნის ვადაა 2016 წლის 20 მარტი**

გვეკონტაქტეთ: სამუშაო დღეებში
**599 08 40 03; ან 577 27 80 02**
aramaterialuri@yahoo.com
მაკა თაქთაქიშვილი, კოტე ნაცვლიშვილი

გამარჯვებული ნიმუშების მიხედვით შედგება ილუსტრირებული კრებული, რომელიც გამოიცემა კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს მიერ და საჩუქრად გადაეცემათ ავტორებსა და კონკურსში მონაწილე სკოლებს, ასევე სხვა დაინტერესებულ ორგანიზაციებს. მოწოდებული ვიდეოფაილების მიხედვით დამონტაჟდება ვიდეორგოლი. ნაშრომები გამოქვეყნდება გაზეთ „ახალი განათლების“ ფურცლებზე, გაშუქდება მედიის საშუალებით.

კონკურსის ყველა მონაწილეს მიენიჭება **„არამატერიალური კულტურული მემკვიდრეობის ქომაგის“** წოდება.

***საქართველოს კულტურული მემკვიდრეობის დაცვის ეროვნული სააგენტოს არამატერიალური მემკვიდრეობის განყოფილება***

აქტუალური თემა

# როგორ დავეხმაროთ ბულინგის მსხვერპლსა და ინიციატორს ეფექტიანი ხერხები სასურველი ქცევის დაუფლებისთვის

**ბულია ყველა ის საკითხი, რომელიც აქტუალურია არა მხოლოდ საქართველოში, არამედ მთელ მსოფლიოში. მოგეხსენებათ, რომ ძალიან ბევრს წერენ და საუბრობენ ბულინგის შესახებ, მათ შორის, ყველაზე ცივილიზებული განათლების სისტემების მქონე ქვეყნებშიც, ერთ-ერთი ურთულესი და დაუძლეველი პრობლემაა, ბუნებრივია, ასევეა ჩვენთანაც. პერიოდულად ვიწყებთ ამაზე საუბარს და მერე, სამწუხაროდ, რაღაცნაირად მიიჩქმალება ხოლმე. თუმცა მიგვაჩნია, რომ ამის მიჩქმალვა არ შეიძლება.**

**რაც შეეხება უშუალოდ სამოქალაქო განათლების მასწავლებლებს, მოგეხსენებათ, ეს ადამიანები სხვა ტიპის მასწავლებლები არიან, უფრო გამჭოლ უნარებზე მუშაობენ მოსწავლეებთან, ვიდრე სხვა საგნებში საგნობრივ ჭრილში. ჩვენ ეს მოდული უნდა მოგვემზადებინა ევროკავშირთან ასოცირების სამოქმედო გეგმის ფარგლებში, ერთგვარი ვალდებულება გვქონდა, რომ ამ წელიწადში შეგვექმნა მოდული და დაგვეწყო ტრენინგები. რაც შეეხება თემატიკას, ძალიან ფართოა და მოიცავს ინფორმაციას ბულინგისა და მისი პრევენციის შესახებ – რა არის ზოგადად ბულინგი, რა ტერმინებს მოიცავს, რა აწარმოებს ბულინგს, რატომ ძალადობენ ადამიანები ერთმანეთზე, მათ შორის მოსწავლეები, რა სახეობის ბულინგი არსებობს, ვინ არის სინამდვილეში მსხვერპლი, რას წარმოადგენს ადამიანი, რომელიც**

**მოძალადის როლში გვევლინება. განხილულია ასევე სტიგმა და სტერეოტიპები, რაც ამ ყველაფერს მოჰყვება და ამ ყველაფრის და კონფლიქტის მოგვარების გზები და ა.შ.“**

**უშუალოდ მოდულის შინაარსობრივ დეტალებზე კი მისი ავტორი, სამოქალაქო განათლების კონსულტანტი ნინო ბესელია საუბრობს:**

– ტრენინგმოდული „სკოლებში ბულინგის პრევენცია და ტოლერანტული კულტურის განვითარების ხელშეწყობა“ საკლასო და სასკოლო პოზიტიური გარემოს შექმნისთვის მნიშვნელოვან თემატიკას მოიცავს: ბულინგისა და ძალადობის პრევენცია; ტოლერანტული კულტურის განვითარება; ბავშვზე ძალადობა, ბავშვის უფლებები და ფასეულობები; კულტურათა შორის ურთიერთობა; სოციალური და ემოციური სწავლება; კონფლიქტის არსის გაცნობიერება; ეფექტური კომუნიკაცია; სამოდელო გაკვეთილებს; ასევე, ძალადობისა და ბულინგის პრევენციის უზრუნველყოფის ადგილობრივ და საერთაშორისო საკანონმდებლო ჩარჩოს, კვლევებს. ძალიან მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებლების მხრიდან ინტერესი გაჩნდა და ტრენინგზე 1200-მდე მსურველი დარეგისტრირდა, მათგან 334-მა უკვე გაიარა. ტრენინგის წარმატებით დასრულების შემდეგ, მასწავლებლებს ევალებათ გაკვეთილის გეგმის შემუშავება, რომელიც ხელს შეუწყობს სკოლაში ძალადობის პრევენციას. ტრენერი მონაწილეებს ტრენინგზე აქტიურობის, საშინაო დავალებების შესრულების, დასწრებისა და გაკვეთილის სცენარის შემუშავების მიხედვით აფასებს და მათ 1.5 კრედიტ-ქულასაც ანიჭებს.

**– როგორ აღმოაჩინოს ან შეამჩნიოს სკოლაში ბულინგი მასწავლებელმა?**

– მოზრდილებს უჭირთ ბულინგის ამოცნობა. ისინი ხშირად ერთმანეთისგან ვერ ასხვავებენ ბულინგს თამაშით ჩხუბისა (ძიძგილაობა) და ნორმალური კონფლიქტებისგან (უთანხმოება მეგობრებს შორის) და ხშირად ნამდვილ აგრესიას თამაშად მიიჩნევენ. სამწუხაროდ, მცდარი შეხედულებების გამო, ბულინგს ბავშვის განვითარების ბუნებრივ, არასაგანგაშო გამოვლინებად მიიჩნევენ – „გაიზრდება და აღარ გააკეთებს“, „ბიჭები მაინც ბიჭები არიან“, „უბრალოდ, ყურადღებას ნუ მიაქცევ“ და სხვ. ხშირ შემთხვევაში, მოზრდილებისთვის ბულინგი დაფარულია, რადგან, როგორც წესი, ბავშვები არ ატყობინებენ მათ ბულინგის შემთხვევების შესახებ. მაგრამ, სამწუხაროდ, როცა ცნობილია ფაქტები, მაშინ მოზრდილებმა არ იციან, როგორ უპასუხონ ბულინგს. არადა, ძალიან მნიშვნელოვანია, როგორც დაზარალებული ბავშვის, ისე ინიციატორის დახმარება.

**– როგორ მოიქცეს მასწავლებელი, რომ გადაჭრას ბულინგის პრობლემა?**

– აუცილებელია მასწავლებელმა დაზარალებულ ბავშვს საშუალება მისცეს, მოყვეს რაც მოხდა, რას გრძნობს, რა მოუვიდა. ჩვენ ვურჩევთ მათ, გამოხატეთ თანაგრძნობა და მხარდაჭერა, ერთად გაარკვიეთ, რა მოხდა, ბავშვთან ერთად შეადგინეთ მისი უსაფრთხოების გეგმა: იმსჯელეთ, როგორ აარიდოს ბავშვმა თავი ანალოგიურ სიტუაციებს; განსაზღვრეთ, როგორ მოიქცეოდა ბავშვი, ბულინგი რომ გაგრძელებულიყო? მოელაპარაკეთ იმაზე, თუ ვის შეიძლება ბავშვმა უამბოს, თუ ბულინგი არ შეწყდება.

შეეცადეთ ჩართოთ დაზარალებული ბავშვი საქმიანობაში, სადაც მას თანატოლებთან ურთიერთობის საშუალება ექნება. ამით ბავშვს დაეხმარებით თანატოლთა მხარდაჭერის მიღებაში.

არც ერთ შემთხვევაში მასწავლებელს არ დაავიწყდეს, რომ ისეთივე მნიშვნელოვანია ბულინგის ინიციატორი ბავშვის დახმარება, როგორც მსხვერპლის. პირველ რიგში, ბავშვის აგრესიული ქცევა არ უნდა აღიქვათ, როგორც ბავშვური სიცელქე, რადგან დროული კორექციის არარსებობის შემთხვევაში ეს შეიძლება ცხოვრების სტილად იქცეს, ყველა აქედან გამომდინარე შედეგით. აგრესიული ქცევის შეცვლა სწორედ ბავშვობის ასაკში შეიძლება.

გულახდილად დაელაპარაკეთ ბავშვს და შეეცადეთ გაარკვიოთ სიტუაცია, რომელმაც მოახდინა სხვა ბავშვების მიმართ აგრესიული ქცევის პროვოცირება. ზოგჯერ აგრესორებად მშობლისგან, სხვა ბავშვისგან, უფროსი და-ძმისგან ძალადობაგანცდილი ბავშვები გვევლინებიან, რომლებსაც თავიანთი წყენა სხვა ბავშვზე გადააქვთ.

დახმარება მიმართული უნდა იყოს არა დანაშაულის ძიებისა და დასჯისკენ, არამედ ბავშვის აგრესიული ქცევის შეცვლისაკენ სოციალურად მისაღები ქცევით. ხშირად აგრესორის დასჯით ჩვენ ვერ ვაჩერებთ მას. მნიშვნელოვანია არა დადანაშაულება, არამედ იმის ჩვენება, რომ აგრესორის ქცევაა მიუღებელი და არა თავად ბავშვი. მშვიდად, ნათლად, ბავშვისთვის გასაგებად აღწერეთ მისი ქცევა და უთხარით, ბულინგის რა ფორმაა ეს. მშვიდად აუხსენით აგრესორს, თუ რა გავლენას ახდენს სხვა ბავშვებზე მისი ასეთი ქცევა. გაარკვიეთ, რა მოხდა (როგორ ესმის ამ ბავშვს მომხდარი); აუცილებლად უთხარით, რომ ასეთი ქცევა მიუღებელია და შეახსენეთ, როგორ ქცევას ელით მისგან. გააგებინეთ მისი პასუხისმგებლობა და ქცევის შედეგები (შეატყობინებენ მშობლებს, ჩატოვებენ კლასში, გამოუცხადებენ საყვედურს და სხვა). თუ ბავშვი-აგრესორის ქცევის შეჩერებას ვერ ახერხებთ, უკიდურეს შემთხვევაში, უნდა ეცადოთ გადაიყვანოთ სხვა სკოლაში არა მსხვერპლი, არამედ აგრესორი!

მასწავლებელმა უნდა იცოდეს, რომ კლასის უსაფრთხო გარემო საუკეთესო გარემოა ბავშვების ეფექტური სწავლებისთვის. კარგი მასწავლებელი გაკვეთილზე ზრუნავს არა მხოლოდ ცოდნის გადაცემაზე, არამედ უსაფრთხო გარემოს შექმნაზე. ის ამჩნევს ბულინგის გამოვლინებებს, არ გამოეპარება ჯგუფიდან გარიყული და მოწყენილი ბავშვი და გაარკვევს მისი ასეთი ქცევის ან ემოციის მიზეზებს. პედაგოგი მხარს უჭერს დაჩაგრულ ბავშვს და ცდილობს ბულინგის შეჩერებას; ეხმარება ბავშვს რეაგირების სათანადო საშუალებების პოვნაში, როცა მას ვინმე ჩაგრავს – არ ეუბნება, რომ უბრალოდ არ მიაქციოს ამას ყურადღება, ან რომ თავი უნდა დაიცვას და სამაგიერო გადაუხადოს. მის ფუნქციაშია დაეხმაროს აგრესორ ბავშვს ქცევის შეცვლაში.

**– როგორი უნდა იყოს დამოკიდებულება პედაგოგს, აღმზრდელსა და ბავშვებს შორის?**

– ჯგუფში იზოლირებული ბავშვის ურთიერთობათა ნორმალიზაციისათვის, ყოველ კონკრეტულ შემთხვევაში, აუცილებელია ინდივიდუალური მიდგომა. ამიტომ, ამ მხრივ რაიმე სტანდარტული რეცეპტების მოწოდება შეუძლებელია. თუმცა შეიძლება დაისახოს ზოგადი მიმართულება.

იზოლაციის ფაქტის გამოვლენით პირველი ნაბიჯი, ფაქტობრივად, უკვე გადადგმულია. მეორე ეტაპია ბავშვის გარიყულობის მიზეზების შესწავლა. უპირველეს ყოვლისა, აუცილებელია გააანალიზოთ საკუთარი დამოკიდებულება ამ ბავშვის მიმართ. ხშირად აღმზრდელები, უნებურად, თავიანთი დამოკიდებულებით აუარესებენ ბავშვის მდგომარეობას. ცნობილია, რომ აღმზრდელის დამოკიდებულება ბავშვებისადმი გავლენას ახდენს ბავშვების ერთმანეთისადმი დამოკიდებულებაზე. ზოგჯერ აღმზრდელი დაუფიქრებელი შენიშვნებითა და შეფასებებით, უნებლიედ, იწვევს ამა თუ იმ ბავშვის მიმართ არაკეთილგანწყობილ დამოკიდებულებას. დაუშვებელია შენიშვნები, რომლებიც აღსაზრდელის პიროვნებას ეხება, მაგალითად, „შენ საერთოდ ზარმაცი ხარ“, „შენ ყოველთვის ყველას უშლი“. დაუშვებელია მთელი ჯგუფის მისამართით გაცემული განკარგულებები: „არ იმეგობროთ ნიკასთან“ და სხვ.

ბავშვის მდგომარეობაზე უარყოფით ზეგავლენას ახდენს არა მარტო ამ ტიპის შენიშვნები, არამედ ზედმეტი შექებაც, განსაკუთრებით მაშინ, თუ შექებისას ხდება სხვა ბავშვთან შედარება: „აი, რა კარგი ბიჭია ირაკლი, შენ კი არ გგავს“. ამგვარი შედარებებისა და დაპირისპირებების შედეგად ობიექტურად მართლაც კარგი ბავშვები ფსიქოლოგიურ იზოლაციაში იმყოფებიან.

პედაგოგი უნდა შეეცადოს ნაკლებკონტაქტური ბავშვის დამეგობრებას ჯგუფთან. ამისათვის შეიძლება სხვადასხვა გზა გამოიყენოს, მაგალითად, ჩართოს ბავშვი საინტერესო საქმიანობაში და დაეხმაროს წარმატების მიღწევაში იმ საქმიანობაში, რომელზეც ყველაზე მეტად არის დამოკიდებული მისი მდგომარეობა. აგრესიულ ბავშვს უნდა დაეხმაროს აფექტურობის (აგრესიულობა, გაღიზიანება, ბუტიაობა) დაძლევაში, მორცხვ და გაუბედავს – სიმორცხვის დაძლევაში, თავდაჯერებულობის გამომუშავებაში. კარგი შედეგის მიღწევა შეიძლება სხვადასხვა ირიბი ხერხითაც. მაგალითად, ზოგჯერ სასარგებლოა, რომ გარიყული ბავშვის მხარდაჭერა ავტორიტეტულმა თანატოლებმა გამოხატონ.

ყველაზე მთავარია მასწავლებელსა და ბავშვს შორის კონტაქტის დამყარების უნარი. მოსწავლემ უნდა დაინახოს, რომ მის მიმართ პედაგოგი ყურადღებიანია და კარგად ექცევა. იმისათვის, რომ იზოლირებულ ბავშვს წარმატების მიღწევაში დაეხმაროთ ზოგჯერ აუცილებელია ისეთი სიტუაციის ხელოვნურად შექმნა, რომელშიც ის შეძლებს თავისი ღირსებების წარმოჩენას, თანატოლთა ყურადღების მიპყრობას.

**– ტრენინგმოდულის მიხედვით, მასწავლებლებს, სკოლებში ბულინგის პრევენციისთვის, სოციალურ და ემოციურ სწავლებას სთავაზობთ. რას გულისხმობს სწავლების ეს მეთოდი და რომელი უნარები უვითარდებათ მოსწავლეებს სოციალურ-ემოციური სწავლების შედეგად?**

– სოციალური და ემოციური სწავლების საშუალებით, ბავშვებიც და ზრდასრულებიც წარმატებით იყენებენ ცოდნას, დამოკიდებულებას და უნარ-ჩვევებს იმისათვის, რომ გააცნობიერონ და მართონ ემოციები, მიაღწიონ დასახულ მიზნებს, იგრძნონ და გამოავლინონ ემპათია სხვების მიმართ, გამოიმუშაონ და შეინარჩუნონ პოზიტიური ურთიერთობები და პასუხისმგებლობით მოეკიდონ თავიანთ გადაწყვეტილებებს.

სოციალური და ემოციური სწავლების შედეგად მოსწავლეებს უვითარდებათ შემდეგი უნარ-ჩვევები: თვითცნობიერება – შეუძლიათ ამოიცნონ საკუთარი ემოციები, აღწერონ თავიანთი ინტერესის სფეროები და ფასეულობები და ზუსტად შეაფასონ საკუთარი ძლიერი მხარეები. ისინი ხდებიან მეტად თავდაჯერებულები და აქვთ მომავლის იმედი;

შესწევთ საზოგადოებასთან თანაცხოვრების უნარი. კერძოდ, სხვა ადამიანების ინტერესების დანახვისა და გააზრების, მათდამი ემპათიის გამოვლენის უნარი;

შეუძლიათ დაინახონ და დააფასონ ინდივიდუალური და ჯგუფური მსგავსება და განსხვავება. მათ შეუძლიათ, აქტიურად მოიძიონ და სათანადოდ გამოიყენონ ოჯახის, სკოლისა და საზოგადოების რესურსები.

მოსწავლეები სრული პასუხისმგებლობით იღებენ გადაწყვეტილებებს სკოლაში, სახლში და საზოგადოებაში. ითვალისწინებენ ეთიკურ სტანდარტებს, უსაფრთხოების პრინციპებს, შესაბამის სოციალურ ნორმებს; პატივს სცემენ სხვებს და ითვალისწინებენ სხვადასხვა ქმედების შესაძლო შედეგებს. იყენებენ გადაწყვეტილების მიღების უნარს სასწავლო და სოციალურ სიტუაციებში და მოტივირებული არიან, ხელი შეუწყონ თავიანთი სკოლის და საზოგადოების კეთილდღეობას.

**– როგორია ის მზრუნველი საკლასო და სასკოლო გარემო, რომელიც ბულინგისა და ძალადობის პრევენციისთვის უნდა შეიქმნას?**

– *„სასწავლო მზრუნველი გარემოა სივრცე, სადაც წევრები თავს გრძნობენ დაფასებულად, ურთიერთობენ ერთმანეთთან და ხელს უწყობენ ერთმანეთის წინსვლასა და განვითარებას“ (ერიკ შაფსი, „ბავშვთა განვითარების ცენტრი“).*

ბულინგისა და ძალადობის პრევენციისთვის მასწავლებლებმა აუცილებლად უნდა გაითვალისწინონ, რომ ახალგაზრდების ქმედებებს განაპირობებს ოჯახთან, თანატოლებთან, სკოლასთან და თემთან დაკავშირებული სხვადასხვა ფაქტორი. სკოლასთან დაკავშირებული რისკ-ფაქტორებია: ნეგატიური სასკოლო გარემო; სკოლის ზოგადი და მოსწავლეებისთვის თავსმოხვეული შინაგანაწესი; სკოლაში თამბაქოს, ალკოჰოლის და ნარკოტიკების მოხმარება; მოსწავლეების საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში ნაკლები ჩართულობა და ვალდებულებების უქონლობა სკოლის წინაშე; მშობლების, მეგობრების ჩაურთველობა მოზარდის პრობლემის მოგვარებაში; მოსწავლეების დაყოფა მათ სოციალურ, ინტელექტუალურ, ქცევით და სხვა ფაქტორებზე დაყრდნობით.

ჩამოთვლილი რისკ-ფაქტორების შემცირება და თავიდან

## აქტუალური თემა

აცილება შესაძლებელია შემდეგი პრევენციული ღონისძიებების გატარებით: სკოლაში მოსწავლეთა მხარდამჭერი გარემოს შექმნით, სასწავლო პროცესის დაგეგმვაში მოსწავლეთა მონაწილეობით, მათი ჩართვით საზოგადოებისთვის სასარგებლო საქმიანობაში, მშობელთა ჩართულობით, მოსწავლეთა არაეთიკური ქცევისა და ნარკოტიკების წინააღმდეგ ზნეობრივი ნორმების ჩამოყალიბებით.

ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ფაქტორი საკლასო ოთახის მომზადებაა. მოსწავლეთა უკეთესი ჩართულობის მიზნით, მასწავლებელმა ისე უნდა განალაგოს სკამები, რომ ყველა კარგად ხედავდეს ერთმანეთს. მერხების ჯგუფური განლაგება ქმნის თანამშრომლურ, საქმიან და თავისუფალ ატმოსფეროს. მასწავლებელი საკლასო ოთახის ინტერიერს აწყობს აქტივობის შესაბამისად; დისკუსიის წარმართვისას, სკამებს განალაგებს ისე, რომ მოსწავლეებმა ერთმანეთს უყურონ; კლასში გაკრული პლაკატები და თვალსაჩინოებები შეესაბამება მოსწავლეთა ინტერესებსა და საჭიროებებს.

**– ტრენინგის ფარგლებში, მასწავლებლებს მიაწოდეთ ინფორმაცია ალბერტ ბანდურას სოციალურ-კოგნიტური თეორიის ზოგადი პრინციპების შესახებ. თუ შეიძლება, გვითხარით, რას გულისხმობს ეს პრინციპები?**

– ბანდურას სწავლის სოციალურ-კოგნიტური თეორია მოიცავს ისეთ კოგნიტურ ფაქტორებს, როგორებიცაა: რწმენები, მოლოდინები, მოტივაცია, მე-კონცეფცია. მისთვის სწავლა შემეცნებითი სტრუქტურების კომპეტენციაა (მათი მეშვეობით ვსწავლობთ), თვითეფექტიანობა გაგებულია, როგორც ცნობიერი წარმოდგენა ან მსჯელობა საკუთარ შესაძლებლობებზე, მოტივაციაც კოგნიტური პროცესების წყალობით წარმოიქმნება. ბანდურას აზრით, ადამიანის ფუნქციონირებას არ განსაზღვრავს მხოლოდ გარეგანი ფაქტორები და არც მხოლოდ შინაგანი. ადამიანის ფუნქციონირებას განსაზღვრავს პიროვნული ფაქტორები, გარემო და ქცევები, მათი ურთიერთდამოკიდებულება.

პიროვნულ ფაქტორებში მოიაზრება: რწმენები, მოლოდინი, დამოკიდებულებები და ა.შ.; გარემოში – დასჯა და წახალისება, სხვა ადამიანები, მათი ქცევები და ამ ქცევათა შედეგები, ფიზიკური ადგილმდებარეობა და ა.შ. ქცევაში კი – ინდივიდუალური ქმედებები, სიტყვიერი გამონათქვამები და სხვ. ყველა ეს ფაქტორი გავლენას ახდენს ერთმანეთზე. ამ იდეიდან გამომდინარე, ერთი წუთით დავფიქრდეთ, რა დიდი ძალა აქვს საკლასო ოთახში მასწავლებლის და მოსწავლის პიროვნებას, საკლასო გარემოსა და მათ ურთიერთდამოკიდებულებას, ურთიერთდეტერმინიზმს! ეს ურთულესი პროცესია, რომელიც განსაზღვრავს სასწავლო პროცესის ფუნქციონირების ეფექტიანობას. მაგალითად, თუ მოსწავლე თანაკლასელებს უხეშად ექცევა, თანაკლასელების საპასუხო რეაქცია მისთვის სასჯელი იქნება, მაგრამ უხეშ ქცევას აგრეთვე შეუძლია ზემოქმედება მოახდინოს გარშემმყოფების განწყობაზე და საპირისპიროდ, თუ მოსწავლე სახალისო ამბებს უყვება თანაკლასელებს, მათი სიცილი იქნება მისთვის დადებითი განმამტკიცებელი და, ანალოგიურად, მისი ეს ქცევა გარშემომყოფების პოზიტიურ განწყობას შექმნის. მაშ, ასე, ალბერტ ბანდურას თეორიაში სამივე ეს ფაქტორი ერთმანეთთანაა დაკავშირებული.

მაგალითად, თუ თქვენ შეაქებთ ორ მოსწავლეს, მოხსენებებში ლამაზი ილუსტრაციების ჩართვისთვის, იმ მოსწავლეებმა, რომლებიც აკვირდებიან თქვენს შექებას, შეიძლება შემდეგ ჯერზე ილუსტრირებული მოხსენებები ჩაგაბარონ. ეს არის არაპირდაპირი განმტკიცება – სხვისი ქცევის შედეგების გათვალისწინებით დასწავლილი ქცევა. ის ერთმანეთისგან განასხვავებს სუფთა მიბაძვას და შეგნებულ მიბაძვას და ამბობს, რომ სწავლა სწორედ ამ უკანასკნელზე უნდა იყოს დაფუძნებული.

მასწავლებელთა ერთ-ერთი პიროვნული მახასიათებელი, რომელიც კავშირშია მოსწავლეთა მიღწევებთან, არის მისი რწმენა, რომ შეუძლია, ხმა მიაწვდინოს ყველაზე რთულ მოსწავლესაც კი და დაეხმაროს მას სწავლაში. მაღალი თვითეფექტიანობის მქონე მასწავლებლები უფრო გულდასმით მუშაობენ, უფრო შეუპოვრები არიან და მათგან ნაკლებად მოსალოდნელია დაღლა. ეს თავისთავად აისახება მოსწავლეზეც, რაც მასში, ასევე, ზრდის რწმენას, რომ წარმატების მიღწევა შესაძლებელია. მასწავლებლებშიც და მოსწავლეებშიც თვითეფექტიანობის განცდა განსაკუთრებით იზრდება რეალური წარმატების მიღწევისას.

ადამიანისთვის დამახასიათებელი თვითრეგულაციის უნარი ნიშნავს იმას, რომ თვითონვე მოახდინოს ზეგავლენა თავის ქცევაზე. სხვა ადამიანების ქცევაზე დაკვირვების და საკუთარი გამოცდილების შედეგად ადამიანს უყალიბდება ე.წ. ქცევის სტანდარტები, რომლებიც ქმნიან თვითრეგულაციის შესაძლებლობას. სტანდარტის შესატყვისი ქცევა უფრო თავდაჯერებულს ხდის ადამიანს და პირიქით, შეუსაბამობა იწვევს უპატივცემულობას საკუთარი თავის მიმართ.

სოციალურ-კოგნიტურ თეორიაში მნიშვნელოვანია საკითხი, როგორ ვასწავლოთ მოსწავლეებს თავიანთი აზრებისა და ქცევის კონტროლი. ამისათვის აუცილებელია, მასწავლებელმა იცოდეს, რა უნარების ფლობას გულისხმობს თვითრეგულირებული სწავლა, რათა ამ უნარების გავარჯიშებასა და დაუფლებაზე იმუშაონ მოსწავლეებთან.

თვითრეგულირებული სწავლის უნარის მქონე მოსწავლეს შეუძლია: მიზნების დასახვა, დაგეგმვა, თვითმოტივაცია, ყურადღების და ემოციების კონტროლი, სწავლის სტრატეგიების გამოყენება მიზნის მისაღწევად, თვითმონიტორინგი, დახმარებისთვის მიმართვა, თვითშეფასება.

ბანდურას თეორიის გააზრებული გამოყენება მასწავლებელს საშუალებას აძლევს, საჭიროების შემთხვევაში, შეცვალოს მოსწავლის ქცევა, აკონტროლოს ის და განსაზღვროს ეფექტიანი ხერხები სასურველი ქცევის დაუფლებისათვის. სწავლების ერთი მნიშვნელოვანი მიზანია, მოამზადოს მოსწავლეები მთელი ცხოვრების მანძილზე სწავლისათვის. ამისათვის საჭიროა, მოსწავლეებმა შეძლონ სწავლის პროცესის რეგულირება. ეს გულისხმობს იმას, რომ მათ ერთდროულად უნდა ჰქონდეთ ცოდნა, სწავლის მოტივაცია და ნებისყოფა, რაც დამოუკიდებლად და ეფექტიანად სწავლისათვის საჭირო უნარ-ჩვევებსა და ძალას უზრუნველყოფს. ცოდნა მოიცავს დავალების, ამოცანის, სასწავლო სტრატეგიისა და მისი გამოყენების კონტექსტის გაგებას. სწავლის მოტივაცია უზრუნველყოფს დავალების შესრულების ვალდებულებას, ხოლო ნებისყოფა ებრძვის ხელისშემშლელ ფაქტორებს და ხელს უწყობს შეუპოვრობას. ამ მიზნით, სასურველია, მასწავლებელმა ჩართოს მოსწავლეები გააზრებულ კომპლექსურ დავალებებში, რომლებიც გაწერილია დროის ხანგრძლივ პერიოდზე. მოსწავლეები აკეთებენ არჩევანს და აკონტროლებენ თავიანთ სასწავლო პროცესს. ეფექტიანია, მოსწავლეები ჩართოთ იმ კრიტერიუმების შედგენაში, რომლითაც შეფასდება მათი სასწავლო პროცესები და შედეგები, ეს მათ საშუალებას აძლევს, იმსჯელონ თავიანთი წინსვლის შესახებ ამ სტანდარტების გამოყენებით. წაახალისეთ მოსწავლეები, ითანამშრომლონ თავიანთ მეგობრებთან და ეძიონ მათთან ურთიერთკავშირი.

*ესაუბრა ლალი ჯელაძე*

## პროფესიული განვითარება

# შანსი დაფინანსების მოსაპოვებლად

**მასწავლებელთა საგნობრივ გაერთიანებებსა თუ ასოციაციებს, რომლებიც დღეს არც თუ ბევრია საქართველოში, მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ცენტრის მიერ გამოცხადებული კონკურსით, 7000 ლარამდე ოდენობის გრანტის მოპოვების შანსი მიეცათ. კონკრეტულად რას გულისხმობს საგრანტო კონკურსი და როგორია მისი ახლო და გრძელვადიანი მიზნები, ამის შესახებ მასწავლებელთა პროფესიული განვითრების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე მანანა რატიანი საუბრობს.**

**– ვიდრე საგრანტო კონკურსის პირობებზე ვისაუბრებთ, ორი სიტყვით გვითხარით საგნობრივი ასოციაციების როლისა და მნიშვნელობის შესახებ**

– ჩვენი მიზანია შევქმნათ ისეთი ხელშემწყობი გარემო, რომ საქართველოში აქტიურად მუშაობდნენ საგნობრივი გაერთიანებები, ასოციაციები, ქსელები, რადგან ამას ძალიან დიდი მნიშვნელობა აქვს არა მხოლოდ საგანმანათლებლო სივრცისთვის, რომ სწავლა-სწავლების პროცესი უკეთესად წარიმართოს, არამედ იმისთვისაც, რომ მასწავლებლებს საშუალება მიეცეთ, საგნობრივ კოლეგებთან უფრო აქტიურად და მჭიდროდ ითანამშრომლონ, ერთმანეთს გაუზიარონ საუკეთესო გამოცდილება და ერთად იმუშაონ პრობლემების მოგვარებაზეც.

საგნობრივი ასოციაციები საქართველოში არც ისე მძლავრად გამოიყურებიან, არადა საერთაშორისო გამოცდილება გვიჩვენებს, რომ წარმატებული განათლების სისტემის მქონე ქვეყნებში საგანმანათლებლო საგნობრივი ასოციაციები გამართულად მუშაობს, მათი როლი დიდია მასწავლებლების პროფესიულ განვითარებაში და მასწავლებლების იდეების ლობირებაში. რა იგულისხმება ამაში? პირველ რიგში ის, რომ ისინი ჩართული არიან გადაწყვეტილებების მიღებაში, მათ აქვთ გარკვეული საგნობრივი გამოცდილება და შესაბამისად, არა მხოლოდ მათთვის არის სასარგებლო ჩართულობა, არამედ სისტემისთვისაც. მიუხედავად იმისა, რომ ყველა საგანში დღეს ასოციაცია არ გვაქვს, გარკვეული ინტერესი გაჩნდა სახელმწიფოს მხრიდან, რომ ეს მიმართულება გაძლიერდეს. სწორედ ამ გრანტით გამოვხატეთ ერთგვარი მზაობა და მხარდაჭერა მათი შემდგომი განვითარების მიმართ. ჩვენი ცენტრიც დაინტერესებულია, რომ ყველა საგანში შეიქმნას ასოციაცია, ამით მასწავლებლებიც დაინტერესდნენ. ამავდროულად, ვინც უკვე წარმოჩენილია ჩვენს საგანმანათლებლო სისტემაში, უფრო მეტად ჩაერთოს პროცესებში. ძალიან გვინდა, ერთგვარად გამოვაფხიზლოთ მიძინებული გაერთიანებები, რომ გადახედონ თავიანთ სტრსტეგიას და გააქტიურდნენ.

**– რატომ არის საგნობრივი ასოციაციების გააქტიურება ასე მნიშვნელოვანი?**

– იმიტომ, რომ ყველა მასწავლებელი არ არის აქტიურად ჩართული პროცესებში და მათი მოსაზრებები ნაკლებად ან საერთოდ არ მიდის გადაწყვეტილებების მიმღებებთან, მიუხედავად იმისა, რომ დოკუმენტები განხილვისთვის ოფიციალურად სკოლებში იგზავნება და ა.შ. შეიძლება, კონკრეტული მასწავლებლის ან ჯგუფის ძალიან კარგი მოსაზრება ვერ მივიდეს გადაწყვეტილების მიმღებამდე. როდესაც საგნობრივი ასოციაცია ფოკუსირებულია საგნობრივი მასწავლებლების ინტერესზე, შესაბამისად, მათი აზრები, რეკომენდაციები ერთად იყრის თავს და მეტი საშუალება ჩნდება, რომ ეს მოსაზრებები დაფიქსირდეს და განხილვის მიღმა არ დარჩეს. ამჟამად, საქართველოში, 14 საგნობრივი ასოციაცია, ქსელი და სხვადასხვა ტიპის გაერთიანებაა. თითოეული მათგანი მოვიძიეთ, დავუკავშირდით, შევხვდით და წინასწარ გავაცანით, კონკრეტული საგრანტო კონკურსით რას ველით ან ვგეგმავთ სამომავლოდ.

**– რაც შეეხება საგრანტო კონკურსს, ეს პირველი პრეცედენტია, რა არის მისი მიზანი და რა ტიპის პროექტი უნდა განახორციელოს განმცხადებელმა?**

– საგრანტო კონკურსები, რომელთა ჩატარების უფლება საქართველოს მთავრობისგან მოვიპოვეთ, ჩვენთვისაც მნიშვნელოვანი სიახლე და ამავდროულად გამოწვევაცაა. კონკურსის მიზანია პროფესიული განვითარების სფეროში მასწავლებელთა საგნობრივი ასოციაციების/გაერთიანებების ჩართვა და ამ პროცესში მათი აქტივობის ზრდა, რაც არა მხოლოდ ხელს შეუწყობს გარე აქტორების გაძლიერებას, არამედ შექმნის პირობებს ცენტრის სერვისების ეტაპობრივი დეცენტრალიზაციისთვის.

პირველ ეტაპზე, ეს კონკურსი განათლების კოალიციის, ჩვენი ცენტრისა და სამინისტროს ერთობლივი ინტერესებიდან გამომდინარე დავგეგმეთ. მოგეხსენებათ, რომ განათლების სისტემაში ახლა ეროვნული სასწავლო გეგმის რევიზიის პროცესი მიმდინარეობს და, შესაბამისად, მას უნდა მოჰყვეს მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის რევიზია. სწორედ ამიტომ ვართ დაინტერესებული, უშუალოდ მასწავლებლებმა მიიღონ მონაწილეობა პროფესიული სტანდარტის ახალი ვერსიის ფორმირებაში. მასწავლებლებმა უნდა დანერგონ ეროვნული სასწავლო გეგმა და მათ უპირველეს მიზანს უნდა წარმოადგენდეს რა იქნება ასახული მათივე პროფესიულ სტანდარტში. გვინდა, რომ მათ მოგვაწოდონ სწორედ ამ სტანდარტთან დაკავშირებული რეკომენდაცია – როგორ უნდა იყოს ეს ორი დოკუმენტი ერთმანეთთან სინქრონიზებული და, ამავე დროს, ძალიან პრაქტიკული. აქედან გამომდინარე, ვიდრე დავიწყებთ მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის განახლებას, ძალიან კარგი იქნება, თუკი ცენტრს ექნება ისეთი სამაგიდო კვლევები განხორციელებული, რაზეც ახლა გამოვაცხადეთ საგრანტო კონკურსი და, შესაბამისად, მათ შემდგომ უკვე სამუშაო პროცესში გამოვიყენებთ.

კონკურსში მონაწილეობა შეუძლიათ საგნის ან საგნობრივი ჯგუფების მასწავლებელთა გაერთიანებებს, რომლებსაც აქვთ არასამეწარმეო იურიდიული პირის სტატუსი. შესაბამისად, გრანტს მიიღებენ საგნობრივი ასოციაციები, რომელთა აქტიურ ნაწილს, რა თქმა უნდა, მასწავლებლები წარმოადგენენ და ასოციაცია მათ გრანტს ჩართულობის მიხედვით გადაუნაწილებს – გრანტს უშუალოდ ის ადამიანები მიიღებენ, რომლებიც განახორციელებენ სამუშაო შეხვედრებს და იმუშავებენ სამაგიდო კვლევაზე.

**– გრანტის მიღების შემთხვევაში რა კონკრეტული ამოცანები უნდა გადაჭრას განმცხადებელმა?**

– კონკურსის მიზნებიდან გამომდინარე, განმცხადებელმა უნდა დაგეგმოს და შესაბამისი საგნის ან საგნობრივი ჯგუფის მასწავლებლებთან ჩაატაროს სტანდარტების საჯარო განხილვები, ფოკუსჯგუფები და მოამზადოს შესაბამისი ანგარიში. ასევე, უნდა განახორციელოს სამაგიდო კვლევა, რომელიც მოიცავს ეროვნული სასწავლო გეგმის ახალი საგნობრივი სტანდარტისა და მასწავლებელთა პროფესიული სტანდარტის შედარებით ანალიზს, რის საფუძველზეც წარმომდგენმა მხარემ უნდა შეიმუშაოს რეკომენდაციები მასწავლებლის პროფესიული სტანდარტის გასაუმჯობესებლად. კვლევის მეთოდოლოგია, ძირითადი მიგნებები და რეკომენდაციები უნდა აისახოს საბოლოო ანგარიშში. კონკურსის შერჩევის პირველი ეტაპი ამ კვირის დასაწყისში დასრულდა, ხოლო საგნობრივი ასოციაციების მიერ შესრულებული ანგარიშების წარმოდგენის ბოლო ვადა დეკემბრის ბოლომდეა, წარმოდგენილ ანგარიშს სპეციალურად შედგენილი კომისია განიხილავს.

**– საგრანტო კონკურსის ფარგლებში განხორციელებული საქმიანობა, არის თუ არა რაიმე კავშირში მასწავლებლის პროფესიაში შესვლის, კარიერული წინსვლისა და პროფესიული განვითარების სქემასთან და ხომ არ შეფასდება პროექტებში მონაწილეობა კრედიტ-ქულებით?**

– ეს არის დოკუმენტების რევიზიის პროცესისთვის მნიშვნელოვანი გრანტი, თუმცა სამომავლოდ ჩვენი ხედვები გრანტებთან დაკავშირებით ასეთია: როდესაც ტრენინგსერვისების დეცენტრალიზაცია მოხდება, ამ შემთხვევაში, აქტიური საგნობრივი ასოციაციები, შეძლებენ პროცესში ჩართვასა და პროფესიული განვითარების ხელშემწყობი აქტივობების განხორციელებას. ეს კი, რასაკვირველია, სქემაში აუცილებლად აისახება.

*ესაუბრა ლალი ჯელაძე*

ეროვნული კონფერენცია

# როგორ განვავითაროთ გამჭოლი კომპეტენციები

ლალი ჯელაძე

მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის ორგანიზებითა და ინიციატივით, მასწავლებლებისთვის ორდღიანი კონფერენცია ჩატარდა, სახელწოდებით – „მოსწავლის გამჭოლი კომპეტენციის განვითარება“. მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორი **გიორგი მაჩაბელი** ყოველწლიურ კონფერენციას პედაგოგთა პროფესიული განვითარების კონტექსტში განიხილავს და ამბობს, რომ ცენტრი უკვე მეოთხედ ატარებს და დასასრულებად მასწავლებლები, მთელი საქართველოს მასშტაბით, რეგიონებიდან ჩამოდიან: *„წელსაც, კონფერენციას მასწავლებლები სხვადასხვა რეგიონებიდან ესტუმრნენ. ისინი მოისმენენ ინფორმაციას საქართველოს განათლების სისტემაში მიმდინარე და სამომავლოდ დაგეგმილი სიახლეების შესახებ. ეს არის ერთ-ერთი მნიშვნელოვანი ღონისძიება იმ ციკლისა, რომელსაც მასწავლებელთა პროფესიულ განვითარებას ვუწოდებთ.“*

კონკურსი, კონფერენციაში მონაწილეობის მისაღებად, მიმდინარე წლის ოქტომბერში გამოცხადდა და შემოსული 300-მდე განაცხადიდან, სპეციალურად შექმნილმა კომისიამ, 59 საუკეთესო მოხსენება შეარჩია.

კონფერენციას საჯარო და კერძო სკოლების 100-მდე მასწავლებელი ესწრებოდა. სხვადასხვა საგნის 59-მა მომხსენებელმა მასწავლებელმა კოლეგებს საინტერესოდ მომზადებული თემები წარუდგინა, მათ შორის: წიგნიერების განვითარება, ინტერკულტურული კომპეტენციების განვითარება, ციფრული და რაოდენობრივი წიგნიერების განვითარება, სწავლება კატასტროფების რისკების მართვის შესახებ – მათ შორის სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროებების მქონე მოსწავლეთათვის და ეკოლოგიური წიგნიერების განვითარება.

*„დღევანდელი კონფერენციის თემა – გამჭოლი კომპეტენციები – ციფრული, რაოდენობრივი, ინტერკულტურული და სხვ., სასიცოცხლოდ მნიშვნელოვანია როგორც დღევანდელი მოსწავლეებისთვის, ისე მომავალი მოქალაქეებისთვის და არც თუ ისე ადვილია მისი სწავლება საგანმანათლებლო კონტექსტში. საგანზე ორიენტირებულმა მასწავლებელმა ყურადღება უნდა მიაქციოს ამ საგნის ცხოვრებასთან კავშირს და სწორედ ამ კომპეტენციების განვითარებას. ეს იმდენად მნიშვნელოვანია, რომ მასწავლებელთა გარკვეულმა ნაწილმა გადაწყვიტა, დაეწყო ექპერიმენტი და ფოკუსირება მოეხდინა გამჭოლ კომპეტენციებზე. საკუთარი პროექტების ფარგლებში როგორ შეძლეს გარკვეული შედეგების მიღება და რა გამოუვიდათ პედაგოგებს, სწორედ ამას მოვისმენთ კონფერენციაზე.“* – განაცხადა, კონფერენციის გახსნისას, განათლებისა და მეცნიერების მინისტრის მოადგილემ **ლია გიგაურმა.**

რატომ შეირჩა წლევანდელი კონფერენციის თემად გამჭოლი კომპეტენციების განვითარება, ამის შესახებ მასწავლებელთა პროფესიული განვითარების ეროვნული ცენტრის დირექტორის მოადგილე **მანანა რატიანი** ამბობს, რომ ეროვნული სასწავლო გეგმით მასწავლებლებს გარკვეული ვალდებულება აქვთ, რომ თავიანთ საგნებში გამჭოლი კომპეტენციები განავითარონ. როგორც მან გვითხრა, მართალია, ერთი მხრივ, ეროვნული სასწავლო გეგმა ამას პედაგოგებს ავალდებულებს, მაგრამ, მეორე მხრივ, ძალიან მოკრძალებულ ჩანაწერს სთავაზობს: *„მხოლოდ ერთი აბზაცით არის განსაზღვრული, რა არის გამჭოლი კომპეტენციები. აქედან გამომდინარე, მასწავლებლებს აუცილებლად სჭირდებათ ხელშეწყობა, რომ განავითარონ გამჭოლი კომპეტენციები. სწორედ ამიტომ ჩავთვალეთ საჭიროდ, რომ მეოთხე ეროვნული კონფერენცია სწორედ ამ თემისთვის მიგვეძღვნა.*

*ძალიან მნიშვნელოვანია მასწავლებელთა აქტიურობის ზრდა. წელს 300-მა პედაგოგმა გამოგვიგზავნა საკონფერენციო თემა, მათგან კომისიამ 59 მიიჩნია საუკეთესო პრაქტიკის მქონედ. კომისიას ჩვენი ცენტრისა და ეროვნული სასწავლო გეგმების დეპარტამენტის ექსპერტ-კონსულტანტები წარმოადგენენ, სწორედ მათი გადაწყვეტილებით შეირჩა მეოთხე კონფერენციისთვის 59 საუკეთესო თემა.“*

რაც შეეხება ზოგადად ამ აქტივობას, მანანა რატიანი ამბობს, რომ: *„მასწავლებლებისთვის აუცილებელია არსებობდეს სივრცე, სადაც ისინი საუკეთესო გამოცდილებას შეაჯამებენ და ერთმანეთს გაუზიარებენ. ეროვნული კონფერენცია სწორედ ეს სივრცეა – ერთი მხრივ, ეს არის მასწავლებლის ნაღვაწის დაფასება და მეორე მხრივ, სხვა მასწავლებლებისთვის საუკეთესო შესაძლებლობა, გაეცნონ კოლეგების მიერ განხორციელებულ აქტივობას, საუკეთესო პრაქტიკას და შემდგომ თავიანთ პრაქტიკაშიც მოსინჯონ და გამოსცადონ.“*

მონაწილე მასწავლებლების აზრით, ეს კონფერენცია მათთვის იმდენად მნიშვნელოვანია, რომ სასურველია, უფრო მეტ მასწავლებელს მიეცეს მონაწილეობის შესაძლებლობა. 43-ე საჯარო სკოლის პედაგოგი **ნინო აბულაძე** მიიჩნევს, რომ კონფერენციებზე საუკეთესო პედაგოგიური პრაქტიკის ნიმუშებია წარმოდგენილი და რაც უფრო მეტი მასწავლებელი ნახავს, მით უკეთესი იქნება: *„ეს მნიშვნელოვანია როგორც პედაგოგების განვითარებისთვის, ისე სასწავლო პრაქტიკის გაუმჯობესებისთვის. ეროვნული კონფერენცია ერთ-ერთი ის ღონისძიებაა, რომელიც ხელს უწყობს გამოცდილების გაზიარებას, ამასთანავე, ჩვენ მიერ კონფერენციაზე წარმოდგენილი ნაშრომები დასტურია, რომ საგაკვეთილო პროცესს კარგად წარვმართავთ და არ ჩამოვუვარდებით ევროპულ სტანდარტებს. სწორედ ამიტომ ვფიქრობ, რომ საუკეთესო პრაქტიკის გამოცდილება, რაც შეიძლება მეტმა, პედაგოგმა უნდა გაიზიაროს“.*

კონფერენციის მასშტაბის ზრდას მანანა რატიანიც ემხრობა და ამბობს: *„რადგან წელიწადში ერთ ეროვნულ კონფერენციას ვატარებთ, ამიტომაც გვიწევს მონაწილეთა რაოდენობის შეზღუდვა. თუმცა, სამომავლოდ, შესაძლებელია მასშტაბი გავზარდოთ. ვგეგმავთ საგნობრივი ასოციაციების ხელშეწყობას, რომ მათ ჩაატარონ კონფერენციები, სადაც ჯგუფები – მასწავლებლები ერთმანეთს გამოცდილებას გაუზიარებენ. ეს სამომავლო გეგმაა, ამჟამად კი ამას ეროვნული კონფერენციის სახე აქვს“.*

ღონისძიებაზე ცენტრის თანამშრომლებმა წარმოადგინეს თემები დემოკრატიული კულტურის კომპეტენციების, ზუსტ და საბუნებისმეტყველო მეცნიერებებში მოსწავლეთა შედეგების გაუმჯობესების, ექსპერიმენტებით სწავლებისა და ბუნების შემეცნებაში განათლების როლის შესახებ.

**ნინო აბულაძემ** კოლეგებს „ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციების“ თემით შესთავაზა შემოქმედებითი აზროვნების განვითარება. ეს გახლდათ საუკეთესო გამოცდილება, თუ როგორ შეიძლება მედიაწიგნიერების გამოყენება ისტორიის გაკვეთილებზე: *„დიუის კონცეფციით „სწავლა მნიშვნელოვანია, მაგრამ მისი გამოყენების უნარი კიდევ უფრო მნიშვნელოვანი. ცოდნა სამყაროსთან ურთიერთობის პროცესში ყალიბდება“.*

*როგორ გამოიყენოს მოსწავლემ ის ცოდნა, რომელსაც ვაძლევთ? როგორ გავუღვივოთ ინტერესი მოსწავლეებს იმისათვის, რომ უკეთ დაინახონ და განსაზღვრონ საკუთარი საჭიროება საგაკვეთილო პროცესში და ზოგადად, ყოველდღიურ ცხოვრებაში, როგორ შეძლონ ინფორმაციის ნაკადში ორიენტირება, მიღებული მასალის გაფილტვრა, კრიტიკული აზროვნება, მასალის შექმნა და გავრცელება. მედიაწიგნიერება არ არის ცალკე საგანი, ის ინტეგრირებულია სწავლების პროცესში და მისი გამოყენების უნარი მოსწავლეს ყოველდღე, ნაბიჯ-ნაბიჯ უნდა ჩამოუყალიბდეს საგაკვეთილო პროცესში. ამის გამო, ხშირად მიწევს ფიქრი იმაზე, როგორ შევარჩიო საგაკვეთილო პროცესის დროს ისეთი აქტივობები, რომელიც მათ ამ უნარის განვითარებაში დაეხმარება. შემაჯამებელი დავალების დროს, სამწუხაროდ, ფართოდ არის გავრცელებული ე.წ. ტესტირება, სადაც აქცენტი, ხშირ შემთხვევაში, კეთდება დეკლარატიულ ცოდნაზე. ამ დროს ვიცით, რომ ჩვენი სწავლების მთავარი ორიენტირი ფუნქციური ცოდნა უნდა იყოს. ამ პრობლემიდან გამომდინარე, ხშირად ვფიქრობ, რომელი საინტერესო აქტივობა შევთავაზო მოსწავლეებს როგორც საგაკვეთილო პროცესზე, ასევე მასალის შეჯამებისას; ამჯერად, კონფერენციაზე წარვადგინე მეშვიდე კლასში ჩატარებული შემაჯამებელი დავალება „ძველი აღმოსავლეთის ცივილიზაციები“ – უკვე ნასწავლი ქვეყნების გახსენება, რომლის მთავარი მიზანი იყო: წინარეცოდნის გააქტიურება, ამ ცოდნის გამოყენება საინფორმაციო გვერდის შესაქმნელად (ამისთვის შევარჩიეთ მაიკროსოფტის საინტერესო პროგრამა One note), ინფორმაციების მოძიება, დახარისხება, გაფილტვრა, უკვე ნასწავლი მასალის შეჯამება და წინარე ცოდნაზე ახალი, მათთვის საინტერესო მასალების დაშენება, ამ ინფორმაციის განთავსება ე.წ. ბლოკნოტში და გაზიარება. ეს არის დავალება, რომელიც პირდაპირ უწყობს ხელს იმ უნარების განვითარებას, რომელიც მოსწავლეს არა მხოლოდ სკოლაში, არამედ ყოველდღიურ ცხოვრებაში სჭირდება, ანუ მიიღოს სკოლაში ის გამოცდილება, რასაც ცხოვრებაში გამოიყენებს. სწორედ ასეთი დამოკიდებულების პროცესში ჩნდება მედიაწიგნიერების განათლების აუცილებლობა.“*

**დავით ნოზაძე,** „ევროპული სკოლის“ მასწავლებელი: *ჩემი თემა „კეთებით სწავლება“ სექციის „ციფრული და რაოდენობრივი წიგნიერების“ ფარგლებში მოვამზადე. 59 არჩეული თემიდან ამ სექციაში შინაარსობრივად დატვირთული 10 ძალიან საინტერესო მოხსენება იყო წარმოდგენილი. თითოეული თავისებური სპეციფიკითა და მრავალფეროვანი დეტალებით იყო მომზადებული. რაც შეეხება ჩემს თემას „კეთებით სწავლება“, ერთ-ერთი აქტუალურია დღევანდელ საგანმანათლებლო სივრცეში. დღევანდელ განათლების სისტემაში საკმაოდ ბევრს საუბრობენ თამაშით სწავლების შესახებ და გვირჩევენ პედაგოგებს, რომ თამაშის ელემენტები აქტიურად გამოვიყენოთ სასწავლო პროცესში ნებისმიერ ასაკობრივ საფეხურზე, განსაკუთრებით კი დაწყებითსა და საბაზო კლასებში. თამაშით სწავლებას კიდევ უფრო საინტერესოს ხდის კეთებით სწავლების მეთოდი, რომლის დროსაც თვითონ მოსწავლეები, პედაგოგის დახმარებით, ქმნიან სხვადასხვა საინტერესო აქტივობებს თამაშის სახით, რაც მოსწავლეში აღვიძებს შემოქმედებითობის და მაღალი აზროვნების უნარს. მოსწავლე კრეატიული იდეების გენერირების პროცესშია და დამოუკიდებლად იღებს გადაწყვეტილებას კონკრეტული საკითხის (პრობლემის) მოგვარებაში.*

*სწავლა-კეთების მეთოდი დღითი დღე აქტუალური ხდება სასწავლო პროცესში და უშუალოდ შედეგზე აისახება. ასეთი მიდგომით მოსწავლეებს ნასწავლი, ნანახი და შესრულებული დავალება აღარასოდეს დაავიწყდებათ. მეც ასეთ მეთოდს თითქმის სისტემატურად მივმართავ საგნის სწავლებისას, და, ალბათ, ადეკვატურიცაა, რადგან ისტ სწავლება კეთების (პრაქტიკის) გარეშე შეუძლებელია. დარწმუნებული ვარ, ძალიან ბევრი პედაგოგი იყენებს ამ მეთოდს ისტ სწავლების დროს, თუმცა ჩემი მიდგომა განსხვავებულია – მოსწავლეები თავად ქმნიან სხვადასხვა საგაზროვნო თამაშებს და ამ თამაშის კეთების პროცესში სწავლობენ ძალიან ბევრ სხვადასხვა მათთვის უცნობ და საჭირო ინსტრუმენტს. თემაში კარგად ჩანს, თუ როგორ ავითარებს „კეთებით სწავლა“ მოსწავლეებში მაღალ შემოქმედებით აზროვნებას. ამას შემდეგნაირად ვახერხებთ: მოსწავლეები სწავლობენ საპრეზენტაციო პროგრამას Microsoft Power Point -ის გარემოში, მათმა უმრავლესობამ ძალიან კარგად იცის ამ პროგრამის დანიშნულება და საჭიროება, შესაბამისად, პროგრამის გამოყენებაც. პროგრამას მოსწავლეებს სხვა კუთხით ვთავაზობ, მაგალითად, როგორიცაა პროგრამა Microsoft Power Point მოსწავლეებისთვის – სხვადასხვა საინტერესო თამაშის შექმნა. ასეთი მიდგომა მათთვის არის ახალი და საინტერესო, რაც შემოქმედებითი აზროვნების განვითარებასთან ერთად, კრეატიული უნარის გამოვლენასაც უწყობს ხელს.*

*რაც შეეხება ზოგადად კონფერენციას, ძალიან საინტერესო იყო, განსაკუთრებით პირველი დღე აღმოჩნდა ინფორმაციულად დატვირთული, ცენტრის მომხსენებლებმა ბევრი სიახლე გაგვაცნეს, მეორე დღე კი სექციურ მუშაობას დაეთმო.*

ეროვნული კონფერენცია მრავალმხრივ სასარგებლოა მასწავლებლებისთვის, რადგან გამოცდილების გაზიარების გარდა, კრედიტ-ქულების მოპოვების შესაძლებლობასაც იძლევა. პროფესიული განვითარების სქემის მიხედვით, კონფერენციის მომხსენებელ მასწავლებელს ერთი კრედიტ-ქულა ენიჭება.

# ინგლისური ენის საღამოები

მაკა ყიფიანი

*„ძვირფასო მეგობრებო!*

*ეროვნული ბიბლიოთეკის მარჯორი და ოლივერ უორდროპების სახელობის ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზი გიწვევთ ინგლისური ენის საღამოებზე.*

*საღამოებს ჩვენი ამერიკელი სტუმარი, ჯედ გურლი, ენის შემსწავლელი ამერიკული კლუბ „ბორბლის“ დირექტორი გაუძღვება.*

*ბატონი ჯედი განათლებით ბიზნესმენი და დიპლომატია. ის, უკვე ორი წელია, საქართველოში პედაგოგიურ საქმიანობას ეწევა და ინგლისურ ენას ინოვაციური მეთოდებით, ფილმებით, თამაშებით, ტექსტებით და საუბრებით ასწავლის. დასწრება თავისუფალია.“*

სოციალურ ქსელში გავრცელებულმა ამ განცხადებამ ბევრი ახალგაზრდა დააინტერესა. ინგლისური ენის შესასწავლად, ყოველ კვირა დღეს, 5 საათზე, ახალგაზრდები ეროვნულ ბიბლიოთეკაში იკრიბებიან.

**მაია სიმონიშვილი,** საქართველოს პარლამენტის ეროვნული ბიბლიოთეკის საზოგადოებასთან ურთიერთობისა და კულტურის პროგრამების მთავარი სპეციალისტი, ანგლო-ამერიკული სამკითხველო დარბაზის კურატორი: *„ანგლო-ამერიკულ დარბაზში პერიოდულად მკითხველებისთვის სხვადასხვა აქტივობებს ვაწყობთ. ძირითადად, შემოდგომა-ზამთრის სეზონზე, როდესაც მკითხველებს შენობაში ყოფნა ურჩევნიათ, ერთი სემესტრი ფილმებს ვაჩვენებდით, მეორე სემესტრი ინგლისურის გაკვეთილებს ვატარებდით. ახლაც ვეძებდით, ვინ დაგვთანხმდებოდა შეთავაზებაზე, რომ ჩვენი მკითხველებისთვის ინგლისური ენის სწავლების შესაძლებლობა მიგვეცა.*

*ეს უკვე მესამე პროექტია, რომელიც სოციალური ქსელების მეშვეობით დავიწყეთ. ფეისბუქში აღმოვაჩინეთ ბატონი ჯედ გურლი, განათლებით ბიზნესმენი და დიპლომატი, რომელიც საქართველოში მეუღლესა და ხუთ შვილთან ერთად ცხოვრობს და ინგლისურის სასაუბრო კლუბს „Cartwheels“ ხელმძღვანელობს. მას მივმართეთ შეთავაზებით, რომ მკითხველებისთვის, კვირაში ერთ დღეს, ჩვენს დარბაზში, ინგლისურის საღამოები გაგვემართა. ბატონი ჯედი დაგვთანხმდა და ასე დავიწყეთ. აღსანიშნავია, რომ გაკვეთილები პროფესიულ დონეზე ტარდება და მსურველებს შესაძლებლობა აქვთ როგორც ფილმების, ისე სავარჯიშოების, თამაშებისა და მრავალფეროვანი მეთოდების საშუალებით, სახალისო ფორმატში ისწავლონ ან გაიუმჯობესონ ენის ცოდნა. პროექტთან დაკავშირებით ეროვნულ ბიბლიოთეკაში გამოგვეხმაურნენ სოფელ წილკანიდან და ოცმა ადამიანმა გამოთქვა სოფლიდან ეროვნულ ბიბლიოთეკაში ინგლისური ენის შესასწავლად სიარულის სურვილი. ბატონი ჯედი თანახმაა, მათაც შეასწავლოს უცხო ენა. რა თქმა უნდა, თუ მათი ტრანსპორტირების საკითხი მოგვარდება, მათთვის ინგლისური ენის გაკვეთილებს ცალკე დანიშნავს. ახლა ვეძებთ საშუალებას წილკანის მაცხოვრებლების დახმარებისთვისაც.“*

**ჯედ გურლი,** ამერიკელი პედაგოგი: *„საქართველოში ინდიანას შტატიდან ჩამოვედი. ჩემი სამშობლო ამერიკის შეერთებული შტატების ჩრდილო-აღმოსავლეთ ცენტრალურ რეგიონში მდებარეობს. სახელი „ინდიანა“ ინდიელთა მიწას ნიშნავს. იქ ბევრი ფერმაა. ჩემს ქალაქში, კროუფორდსვილში (Crawfordsville), 40 000 მოსახლე ცხოვრობს.*

*მასწავლებლის ოჯახში აღვიზარდე – მამა სკოლის დირექტორია, დედა და ჩემი და- ძმები, ყველანი პედაგოგები არიან. უმაღლესი განათლება კალიფორნიის უნივერსიტეტში მივიღე. მე და ჩემმა მეუღლემ, რენემ ერთმანეთი უკრაინაში გავიცანით. ჩემი მეუღლე 16 წლის იყო, როდესაც მშობლებთან ერთად უკრაინაში წავიდა და იქაურ მოქალაქეებს ინგლისური ენის შესწავლაში ეხმარებოდა. მანამდე რენე, დედასთან ერთად, აფრიკაში ცხოვრობდა და იქ იზრდებოდა. ამჟამად, ჩემი მეუღლის დედა ინგლისურ ენას უნგრეთის უნივერსიტეტში ასწავლის.*

*ორი წელია, რაც საქართველოში ვცხოვრობ.*

*1992 წელს, საბჭოთა კავშირის დაშლის შემდეგ, 20 წლის ასაკში, პირველად დავტოვე ამერიკა და პოსტსაბჭოთა ქვეყნებში სამოგზაუროდ წამოვედი. პირველად ჩავედი კიევში, სადაც მცირე და საშუალო ბიზნესის განვითარებაზე ვმუშაობდი, რამდენიმე მოქალაქეს კერძო ბიზნესის წამოწყებაში დავეხმარე; შემდეგ ყირგიზეთში გადავედი, სადაც დიპლომატიურ საქმიანობას ვეწეოდი. საქართველოში პირველად მეგობრებთან ერთად ჩამოვედი. თქვენმა ქვეყანამ, პოსტსაბჭოთა ქვეყნებს შორის, ყველაზე მეტად მომხიბლა. ჩამოსვლამდე თითქმის არაფერი ვიცოდი საქართველოს შესახებ, არ მქონდა არანაირი მოლოდინი და შესაბამისად, არ ვიცოდი რა დამხვდებოდა. ახალი შთაბეჭდილებებისთვის გახსნილი ვიყავი. ჩემთვის გასაოცარი იყო იმის აღმოჩენა, თუ რამდენად განვითარებულია თქვენი ქვეყანა სხვა პოსტსაბჭოთა ქვეყნებისგან განსხვავებით. ქართველები კარგად ფლობთ და იცით თანამედროვე მიღწევების გამოყენება. საქართველო ძალიან ახლოსაა ევროპულ ფასეულობებთან.*

*მე ხუთი შვილი მყავს და, პირველ რიგში, ვაკვირდები ქვეყანას, თუ როგორ ცხოვრობენ ადამიანები, შესაბამისად ჩემს შვილებს, ოჯახს, როგორ პირობებში, გარემოში მოუწევთ ცხოვრება. საქართველო სწორედ ის ქვეყანაა, რომელსაც ჩემს ოჯახს ვანდობ. ჩამოსვლისთანავე შემიყვარდა აქაური ადამიანები, აქ თბილი და გახსნილი ურთიერთობებია, რაც მე ძალიან მომწონს. თბილისი ძალიან ლამაზი ქალაქია. მომწონს მისი ხალხმრავალი უბნები, ადამიანებთან თბილი და გახსნილი ურთიერთობები.*

*როცა პოსტსაბჭოთა ქვეყნებში დიპლომატიის შესასწავლად დავდიოდი, სწორედ მაშინ გადავწყვიტე პედაგოგიური საქმიანობა დამეწყო, ადამიანებს რაიმეთი დავხმარებოდი, უმრავლესობას ინგლისური ენის შესწავლა უნდოდა. ინგლისური ენის სწავლება ადამიანებთან ურთიერთობას მიმარტივებს კიდეც. მით უმეტეს, ჩემი ოჯახის პედაგოგიური გამოცდილებიდან მეც ბევრი ვისწავლე. მინდოდა უფრო ახლოს გამეცნო ადგილობრივი ადამიანები, ენის არცოდნა კი ბარიერს ქმნიდა. ინგლისური ენის შესწავლა იყო ის, რისი მიცემაც და დახმარებაც მათთვის შემეძლო.*

*ინგლისური ენის სწავლებას სოციალურად კიდევ ერთი უპირატესობა აქვს: ადამიანები, რომლებიც ჩემთან ენის შესასწავლად მოდიან, ერთ უბანში ცხოვრობენ, მაგრამ ერთმანეთს არ იცნობდნენ. ინგლისურის გაკვეთილებზე ხდება მათი გაცნობა და დაახლოება, რაც ხელს უწყობს მათ დამეგობრებას. ვერ ვიტყვი, რომ რაიმე განსაკუთრებული მეთოდით ვასწავლი. ვასწავლი სასაუბრო ინგლისურს, მეტყველებას, ვცდილობ გავითვალისწინო ყველა ტიპის მსმენელი და გამოვიყენო მათთვის სასურველი მეთოდები. ზოგი ადამიანი სწავლობს კეთებით, ზოგი – ყურებით, ზოგიც კი – მოსმენით.*

*ჩემი შვილები ქართულ სკოლაში დადიან და შესაბამისად, ქართულ განათლებას იღებენ. მათ კარგად იციან რუსული ენა, რადგან გარკვეული პერიოდი ყაზახეთში ვცხოვრობდით. რაც შეეხება ქართულ სკოლებს, აქ ბევრი რამ დასახვეწია. დილის და საღამოს ცვლებით მივხვდი, რომ თბილისში სკოლების დეფიციტია. ამერიკაში მოსწავლეები სკოლაში დილის 8 საათიდან შუადღის 3 საათამდე არიან. საშინაო დავალებას სკოლაში ასრულებენ, საკვები მათთვის უფასოა და ჯანსაღი. კარგი იქნებოდა, საქართველოს სკოლებში მოსწავლეები უფრო მეტ დროს თუ გაატარებენ, ეს მათი სოციალიზაციისთვის ძალიან კარგია. სკოლებში მოსწავლეებისთვის საკვები უფასო და, რა თქმა უნდა, ჯანსაღი უნდა იყოს.*

*მე, როგორც მამა, რა თქმა უნდა, ამ პროცესებში აქტიურად ვარ ჩართული და შვილების ყველა ინტერესს ვითვალისწინებ. არის შემთხვევები, როცა მათ დედის აზრი მეტად აინტერესებთ, ვიდრე ჩემი. ზოგ საკითხში მათთვის ჩემი მოსაზრება უფრო მნიშვნელოვანია. ძალიან მნიშვნელოვანია ბავშვები ხედავდნენ, რომ მამა დედას კარგად ექცევა და პირიქით. ისინი ჩვენგან სწავლობენ ადამიანებთან ურთიერთობებს. ჩვენ ყოველთვის ვცდილობთ, ბავშვებს დავანახოთ თუ როგორ გვიყვარს ერთმანეთი, პატივს ვცემთ და ვეხმარებით ერთმანეთს, ყურადღებას გამოვხატავთ ერთმანეთის მიმართ იმისთვისაც, რომ შვილებმა ისწავლონ თანატოლებთან და სხვა ადამიანებთან ურთიერთობა. საინტერესოა, რომ ჩვენი შვილები სწორედ სხვადასხვა ქვეყნებში მოგზაურობისა და მუშაობის დროს გაჩნდნენ. ვცდილობთ, მათ სამყარო და ადამიანი უყვარდეთ.*

*მე მოხალისე პედაგოგი ვარ, თუმცა ჩვენ არ ვამბობთ, რომ ინგლისური ენის შესწავლა უფასოა. ეს შემოწირულობის საფუძველზე ხდება. ვისაც საშუალება აქვს, იხდის, ვისაც არა, ჩვენ ვეხმარებით. ჩვენ გვყავს მეგობარი ოჯახი ამერიკაში, რომელიც ფინანსურად გვეხმარება იმისთვის, რომ ბინა ვიქირაოთ და არსებობის საშუალება გვქონდეს. დამატებით ფუფუნებისთვის არ ვითხოვ ფულს, ღმერთს და საკუთარ საქმიანობას ვეყრდნობი.*

*ზაფხულში, ჩემს მოსწავლეებთან ერთად, ქალაქგარეთ გავდივართ და საქართველოში ვმოგზაურობთ. ქართველი მოსწავლეები მეგზურობას მიწევენ. თქვენი ქვეყანა ტურისტული ქვეყანაც არის და ისინი ინგლისურად სწავლობენ ამა თუ იმ ღირსშესანიშნაობის შესახებ საუბარს. ეს, რა თქმა უნდა, ინგლისური ენის გამყარებაში და გარკვეული უნარების განვითარებაში ეხმარება მათ.“*

**თამარ ხაჩიძე,** 119-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე: *„მე და ჩემმა მეგობარმა სოციალური ქსელის მეშვეობით გავიგეთ ინგლისური ენის გაკვეთილების შესახებ. რა თქმა უნდა, ძალიან გამიხარდა. დღეს პირველად ვარ და ძალიან კმაყოფილი დავრჩი. ვფიქრობ, მსგავსი მეთოდებით ინგლისური ენის შესწავლა ძალიან შემიწყობს ხელს ენის დაუფლებაში.“*

**სოფო ხოხაშვილი,** 119-ე საჯარო სკოლის მე-11 კლასის მოსწავლე: *„მიხარია, რომ მოგვეცა საშუალება ინგლისური ენის უფასო გაკვეთილებს დავესწროთ. დღეს გაკვეთილზე ჩემს მეგობრებთან ერთად მოვედი და ძალიან კმაყოფილი ვარ, ბევრი ახალი უცხო სიტყვა მოვისმინე და ჩავინიშნე კიდეც. უცხო ენის ინოვაციური მეთოდებით, ფილმებით, თამაშებით, ტექსტებით და საუბრებით შესწავლა გაცილებით ეფექტურია.“*

**თამარ ღლონტი,** სტუდენტი: *„ინგლისური ენის გაკვეთილები ძალიან მომწონს. ძირითადად ბრიტანულ ინგლისურთან მქონდა შეხება და კარგია, რომ ამერიკული ინგლისურის დაუფლების საშუალებაც მომეცა. მართლაც არაჩვეულებრივი მეთოდია მსგავსი გაკვეთილებით უცხო ენის შესწავლა. პედაგოგები ძალიან სასიამოვნო ადამიანები არიან. იმედი მაქვს, ჩემს ცოდნასა და მეტყველების უნარებს გავაუმჯობესებ.“*

* * *

**მათ, ვისაც სურვილი აქვს, საქართველოს პარლამენტის ეროვნულ ბიბლიოთეკაში, ინგლისური ენის საღამოებს შეუერთდეს, ვაცნობებთ, რომ წინასაშობაო გაკვეთილი 18 დეკემბერს, 17:00 საათზე გაიმართება. მომავალი წლიდან, საღამოებზე ახალ მსურველებსაც ელოდებიან.**

სასკოლო აქტივობა

# შეხვედრა 17 წლის შემოქმედთან

სასკოლო ცხოვრებას აქტივობათა მრავალფეროვნება ძალიან სჭირდება. მოსწავლეებს მოსწონთ ისეთი არასაგაკვეთილო პროექტები, რომელთა საშუალებით, სახალისო, შემეცნებითი აქტივობებით, წარმოაჩენენ თავიანთ შესაძლებლობებს, ამით უმაღლდებათ თვითშეფასება, უაქტიურდებათ კოგნიტური პროცესები, იხვეწება მოვლენათა აღქმისა და ანალიზის უნარები, ლიტერატურული გემოვნება და სხვ.

სწორედ ამ შედეგებზე იყო გათვლილი ერთი არაჩვეულებრივი ლიტერატურულ-შემეცნებითი პროექტი, რომელიც სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის №3 საჯარო სკოლის VIII კლასში განხორციელდა 6 დეკემბერს.

ყველაფერი ასე დაიწყო:

ხელში ჩამივარდა ახალგაზრდა შემოქმედის, **გელუკა ბუიღლიშვილის** წიგნი „მოლოდინი“, რომელმაც ჩემზე დიდი შთაბეჭდილება მოახდინა. კლასის საათზე მოსწავლეებს გავაცანი წიგნი და სწორედ ამ დროს დაიბადა იდეა, დავკავშირებოდით ავტორს, უფრო ღრმად გაგვეცნო მისი შემოქმედება და, ავტორის მონაწილეობით, წიგნის განხილვა-პრეზენტაცია მოგვეწყო.

დაიგეგმა პროექტის სამოქმედო პუნქტები. მოსწავლეები დაუკავშირდნენ ავტორს, რომელიც თერჯოლის მუნიციპალიტეტის სოფელ ნახშირღელის საჯარო სკოლის XII კლასის მოსწავლეა. მან მერვეკლასელებს წიგნები გამოუგზავნა, რათა შეძლებოდათ მისი შემოქმედების უკეთ გაცნობა. ბავშვები ინტერესით გაეცნენ ლექსებს, ჩანახატებს, იუმორესკებს, ჰაიკუ-ლექსებს, ნახატებს... თავიანთი გემოვნებით აირჩიეს სამიზნე მასალა, ლექსები ზეპირად ისწავლეს, გააანალიზეს, დეკლამაციის უნარებიც მოიმარჯვეს, შეხვედრის დღე აირჩიეს, ავტორიც მოიწვიეს, სტუმრებიც, ერთი სიტყვით, ეს საინტერესო დღეც შედგა.

* * *

სანამ შეხვედრის დეტალებს გავეცნობით, პასუხი გავცეთ კითხვებს:

**– ვინაა გელუკა ბუიღლიშვილი, რამდენ წელს ითვლის მისი შემოქმედება და რას მოიცავს?**




– მესამე კლასიდან დაიწყო წერა, თხზავდა ზღაპრებს, წერდა ლექსებს. მოგვიანებით, თერჯოლის მოსწავლე ახალგაზრდობის სასახლეში განხორციელდა პროექტი „მზიანი დღეები“, რომლის ფარგლებში, მოსწავლეთა მონაწილეობით, დაიდგა ბავშვთა სპექტაკლი-ზღაპარი „უსახელო ქალაქი და ბიჭი“. სპექტაკლმა დიდი მოწონება დაიმსახურა და მისი ავტორით დაინტერესდა ჩეხეთის წარმომადგენლობა, სწორედ მათ დაუფინანსეს პირველი წიგნი. არასამთავრობო, არაკომერციულმა ჩეხურმა ორგანიზაციამ „PIN“ გელუკა ბუიღლიშვილი „პატარა მეზღაპრის“ ტიტულით დააჯილდოვა. მის ნიჭს ყურადღება მიაქცია თერჯოლის ახალგაზრდული სასახლის ბავშვთა უფლებების დაცვის კლუბის თავმჯდომარემ, ქალბატონმა ნათია გამყრელიძემ.

გელუკა წერს პიესებს, სცენარებს, აქვს მსახიობის ნიჭიც, არის არაჩვეულებრივი დეკლამატორი, ხატავს კიდეც, ერთი სიტყვით, მისი შესაძლებლობები მრავალმხრივ ვლინდება. მონაწილეობა მიიღო ორგანიზაცია „ადენისისის“ კონკურსში, სადაც საპრიზო ადგილი მოიპოვა.

ორიგინალური ხედვისა და პოეტური აზროვნებისათვის, საქართველოს მოსწავლეთა ეროვნულმა სასახლემ, კონკურსში „კალმოსანი“, გამარჯვებული გელუკა ბუიღლიშვილი დიპლომით დააჯილდოვა. მისი ნაწარმოებები დაიბეჭდა ლიტერატურული გაზეთის „გალაკტიონი“ რამდენიმე ნომერში.

უკვე სამი წიგნის ავტორია. პირველ წიგნს, რომელიც 2012 წელს გამოვიდა, „საჭორეთიდან მოფრენილი ფურცლები“ ჰქვია. წიგნი ჩეხეთის არასამთავრობო ორგანიზაციის „PIN“ მხარდაჭერით გამოიცა; მეორე წიგნი – „მელანი მთა“ დაფინანსა და გამოსცა (2014 წელს) ამერიკელმა პედაგოგმა დელიპ კუნძმა, პროექტის „ისწავლე და ასწავლე საქართველოსთან ერთად“ ფარგლებში; მესამე წიგნი – „მოლოდინი“, ახლახან, მსოფლიო ბანკის დაფინანსებით გამოიცა. სწორედ ეს წიგნი გახლდათ ჩვენი კლასის მოსწავლეთა „სამიზნე“.

* * *

2016 წლის 6 დეკემბერი...

ზამთრის ცივ ამინდს მზის სინათლემ სძლია...

მოსწავლეებს ხელში უჭირავთ „მოლოდინი“, ფურცლავენ, ჩაჰკირკიტებენ, უნდათ მწერალს თავი მოაწონონ, ვინ კომპიუტერს ჩაჰკირკიტებს, სურთ მონიტორზე გააშუქონ გელუკას ნახატები, ლირიკული ფონისათვის ნაზი მუსიკაც ჟღერს.

სტუმარიც მოვიდა – მშობლები და ბიძა ახლდა... სამარისებურმა სიჩუმემ დაისადგურა ფართო, ნათელ, სახელდახელოდ მოწყობილ ოთახში... სასკოლო, თეთრ მაისურებში გამოწყობილი მასპინძლები მტრედებივით შეეგებნენ სტუმარს.

ყველაფერი ჰაიკუ-ლექსებით დაიწყო... ხმების ცვლა, გრძნობით წარმოთქმული ჰაიკუ საოცარი მოსასმენია:

*„თითქმის დაცვივდა ყველა ფოთოლი,*
*საბრალო ხენი...*
*შიშველ ტანზე მხოლოდ ტოტებს რომ იფარებენ...“*

*„ჩამქრალი წლები*
*მძიმედ აწევს მოხუცის ბეჭებს...*
*უცხო სარკმლიდან გაისმოდა კვლავ რექვიემი...“*

მერე იყო ჩანახატების კითხვა, ეტიუდები, რომლებიც „საჭორეთის ქვეყანას“ შეეხებოდა. ნარკომანია – მარადიული ჭირი და უბედურებაა სამყაროსი – კითხულობს ჩანახატს ლამაზი ქალი, რომელსაც თვალსა და ხელს შუა გაუქრა სიყვარულიც და ბედნიერებაც, შვილის გაჩენის სასიხარულო მოლოდინიც... ეს ყველაფერი საყვარელი ადამიანის ნარკოტიკისაკენ ლტოლვამ შეიწირა...

წიგნიდან ისმის იმერეთის სოფლის მკვიდრთა ყოველდღიური ყოფის ამსახველი დიალოგები. ლექსში „ეფრემა და კესარია“ ადამიანები ოჯახური იდილიით უმკლავდებიან ცივ ზამთარს...

ლამაზად და მიმზიდველად საუბრობენ გმირები გელუკას წიგნიდან... ქვრივ-ობლების გასაჭირს, შვილების გამოზამთრებას როგორ ეწირება წლების განმავლობაში ნაშრომ-ნალოლიავები ვენახი, როგორ გოდებს მარტო დარჩენილი დედა და ყველაფერს აკეთებს ობლების გადარჩენისათვის... არის გულწრფელი ღიმილიც, რადგან ამ წიგნში ბევრია იუმორესკაც (საზოგადოების მანკიერ მხარეებს იუმორესკებით „ებრძვის“ მწერალი). საცნაურია გელუკას შემოქმედებაში იტალიური ნიშა, – კრებულის პირველი მოთხრობა „მოგზაურობა იტალიაში“ ასე იწყება: *„იტალია... ჩემი საოცნებო ქვეყანა...“* ნაწარმოებში ნათლად ჩანს, რომ ავტორი კარგად იცნობს იტალიის ისტორიას – წარსულსა და აწმყოს... სენიორა კატერინა ენატანია, სენიორ პაულო, მარსელო ყველგან ცხვირის ჩამყოფი, დომენიკო ჩაქუჩა – ეს მხატვრული სახეები ავტორის სათქმელის გამოსახვის საინტერესო საშუალებებია.

ლექსში „იწამე ღმერთი“ ნათლად იგრძნობა ავტორის ქრისტიანული მორალი. პატარა მკითხველებს ამ ლექსმა ვაჟას „სინდისი“ მოაგონა, რომელიც გვეუბნება, რომ, თუ ადამიანები სინდისის გარეშე დარჩებიან, მაშინ სამყაროს დაღუპვა გარდაუვალია... გელუკას ლექსშიც მინიშნებულია, რომ ურწმუნოება დაღუპავს სამყაროს:

*„მოვა დრო, ქვეყნად იქნება ბნელი,*
*წყვდიადი შთანთქავს კოსმიურ სივრცეს...*
*მოხდება ყველა მოუხდენელი,*
*რომ ეს სამყარო ერთხმად დაიქცეს*
*და იქ, შორიდან... ბე კოსმოსიდან.*
*სინათლის სხივი წამოვა ერთი,*
*უსაზღვრო სივრცეს დაეწერება,*
*ი-წ-ა-მ-ე ღ-მ-ე-რ-თ-ი!..“*

წიგნში მშვენიერ ჩანახატებად ქცეულა წაკითხულ-განცდილის შთაბეჭდილებებიც. მაგალითად, ანა ფრანკის დღიურებს ავტორის სულზე ღრმა კვალი დაუჩნევია, დათა თუთაშხიასთანაც გაუბამს დიალოგი, სამანიშვილის სატკივარიც გაუთავისებია... მკითხველი არაჩვეულებრივ პოეტურ სახეებს ეზიარება...

*„წუხელ ტბაში ჩავარდნილა მთვარე,*
*შუა წყალში ვარსკვლავები ყრია...“*

კითხვაზე, როგორ იბადება შენში ლექსი, თავად გელუკას ლექსმა გასცა პასუხი:

*„როცა მუზა მესტუმრება, გაიშლება შთაგონება,*
*სულ სხვაგვარად ამღერდება ჩემი გრძნობა და გონება,*
*ერთხმად აჭიკჭიკდებიან სიტყვები, ვით ჩიტუნები,*
*რითმის გორებს დააგროვებ, თუკი კაცი გაირჯები...*
*როცა ერთი უცნაური აზრი აგეკვიატება,*
*არ გასვენებს, არ გშორდება, სანამ არ დაიბადება...*
*და როდესაც მოგშორდება, დაწყნარდები, დამშვიდდები,*
*წერტილს დასვამ ლექსის ბოლოს*
*და მის სუნთქვას უკვირდები...“*

შეხვედრაზე მრავალი შეკითხვა დაისვა, მერე დიალოგის ფორმატში გაგრძელდა საუბარი. მრავალი საინტერესო რამ ითქვა, პოეზიითა და ლამაზი ემოციით გამთბარი. გელუკა ბუიღლიშვილმა წაიკითხა გამოუქვეყნებელი ლექსები, ჩანახატები... მერე სტუმარ-მასპინძლებმა კედლის მონიტორზე ნაჩვენები მისი არაჩვეულებრივი ნახატებიც მიმოიხილეს.

ახალგაზრდა შემოქმედმა იცის, რომ სულის ტკივილი ყველა ტკივილზე გაუსაძლისია. მისი გმირი მოთხრობაში „წერილი“ ამბობს: *„როცა ამ წერილს წაიკითხავ, არ შეგეცოდო, არ მინდა ვინმეს ვებრალებოდე!.. მე მხოლოდ ის მინდა, რომ ვინმეს ესმოდეს ჩემი ტკივილი...“*

მასპინძლებს მართლაც ესმით ავტორის. ამ დღიდან ისინი გელუკა ბუიღლიშვილის ერთგული მკითხველები არიან, დაელოდებიან ახალ-ახალ ნაკალმევს, მისი ნიჭის მეტად გამობრწყინებას. ამ ადამიანის შემოქმედებამ დაუვიწყარი მოგონება დაუტოვა თითოეულ მოსწავლეს, ამ დღემ სასკოლო ცხოვრების ერთი ლამაზი ფურცელი შემატა წმინდა ნინოს სახელობის ქუთაისის №3 საჯარო სკოლის საუკუნოვან მატიანეს.

**მარინე არაბიძე-აშვეთია**
*სსიპ წმინდა ნინოს სახელობის ქალაქ ქუთაისის №3 საჯარო სკოლის ქართული ენისა და ლიტერატურის მასწავლებელი, VIII კლასის დამრიგებელი*

ინფორმაცია

# ბუნება მბრძანებელია!

თბილისის 144-ე საჯარო სკოლის (დირექტორი – **მანანა ჩარგეიშვილი**) ეკოკლუბი სისტემატურად სწავლობს გარემოსდაცვით საკითხებს. ერთი თვე არ არის გასული მას შემდეგ, რაც სკოლის ეზოში მარადმწვანე ხეების რეაბილიტაცია განხორციელდა USAID-ის პროექტის „ისწავლე, გაუზიარე, გააკეთე კიდევ უფრო მეტი მწვანე თბილისისათვის“ ფარგლებში. აგრეთვე ეკოკლუბმა მონაწილეობა მიიღო „ხის დარგვის აქციაში“, თბილისის მუნიციპალიტეტის მერიის ეკოლოგიისა და გამწვანების სამსახურის ეგიდით, სკოლის ადმინისტრაციასთან, თემთან და კრწანისის რაიონის გამგეობასთან ერთად. აქციის ფარგლებში, დაირგა 25 კვიპარუსის ნერგი, რომელსაც ჩვენი მოსწავლეები, როგორც ბუნების ქომაგები, თვალისჩინივით უვლიან.

ეკოკლუბის ახალგაზრდულ ხმას კიდევ ბევრი ამოცანები აქვს გათვალისწინებული პროექტის დასრულებამდე, მაგრამ, ჩვენი მუშაობის შემაჯამებელი კონფერენციის შედეგების წარმოდგენამდე, მოხდა გაუთვალისწინებელი რამ: ბუნების მკაცრმა პირობებმა, კერძოდ, ძლიერმა ქარმა, სკოლის სასწავლო პროცესის დასრულების დროს, ნიადაგიდან მოგლიჯა 48 წლის წინ დარგული 3 ფიჭვის და 2 კედრის (Cedrus) უზარმაზარი ხე – მარადმწვანე მცენარეთა გვარის წარმომადგენელი, ფიჭვისებრთა ოჯახისა. უფალს მადლობა, რომ თავიდან აგვაცილა სტიქიით გამოწვეული უბედური შემთხვევა.

აღნიშნული მძიმე ვითარებიდან გამოყვანა მოხერხდა კრწანისის რაიონის გამგეობის და სამაშველო სამსახურის ოპერატიული ჩარევით.

თქვენი გაზეთის მეშვეობით გვინდა მადლობა გადავუხადოთ კრწანისის რაიონის გამგეობის ხელმძღვანელებს და ამავე რაიონის სამაშველო სამსახურს.

**ლალი ედიგერიძე**
*144-ე საჯარო სკოლის ბიოლოგიის პედაგოგი, ეკოკლუბის ხელმძღვანელი*

სასკოლო აქტივობა

# შოთა რუსთაველის 850 წლის საიუბილეოდ

შოთა რუსთაველის უკვდავი პოემა „ვეფხისტყაოსანი“ ქართველთა სათაყვანებელი წიგნია, რომელიც სიყვარულის, გმირობის, რაინდობის, მეგობრობის, ჰუმანიზმის ჰიმნია.

დიახ, „ვეფხისტყაოსანი“ არის ბრწყინვალე მასწავლებელი, რომელიც გვარიგებს, გვაძლევს რჩევებს, გვამაღლებს და გვეხმარება ცხოვრებისეული საკითხების უკეთ აღქმაში. „სჯობს სახელისა მოხვეჭა, ყოველსა მოსახვეჭელსა“, „გველსა ხვრელით ამოიყვანს ენა ტკბილად მოუბარი“, „ლეკვი ლომისა სწორია, ძუ იყოს, თუნდა ხვადია“, „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ათავისუფლე მონები“, „რასაცა გასცემ შენია, რაც არა დაკარგულია“. ასეთი წიგნის, მისი ავტორის დავიწყება შეუძლებელია. ამიტომ, წლევანდელ სასწავლო წელს, მიზნად დავისახე მე-11 კლასთან ჩამეტარებინა გაკვეთილები: „სპორტული ტერმინოლოგია „ვეფხისტყაოსანში“, „ტექნიკური ტერმინოლოგია „ვეფხისტყაოსანში“, „ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“.

გაკვეთილები მიეძღვნა შოთა რუსთაველის 850 წლის იუბილეს.

რა თქმა უნდა, თითოეული გაკვეთილი მოითხოვდა მოსწავლეთა წინარე ცოდნის გააქტიურებას, დღევანდელ ცხოვრებასთან რეალურ კავშირს, პარალელების გავლებას ფიზიკაზრდისა და ქიმიის საგნებთან, რესურსების, სპეციალური ლიტერატურის მოძიებას, მრავალფეროვან სტრატეგიებსა და აქტივობებს.

პოემაში საკმაოდაა სპორტული ტერმინოლოგია: ასპარეზი, ბურთი, მუშაითობა, ნარდი, რბენა, სროლა და ა.შ.

გაკვეთილი გონებრივი იერიშით დავიწყე, ამით გავზარდე მოსწავლეთა ინტერესი გაკვეთილისადმი. კითხვები ასეთი იყო: ვინ იყო პირველი ალპინისტი მეფე? რა სპორტულ სახეობას მიაკუთვნებდით სტროფში გადმოცემულ ამბავს: „შიგან ასრე გავერიე, გნოლის ჯოგსა ვითა ქორი?“ რას ნიშნავს ჩოგანი? და სხვ. შევქმენით კროსვორდები, რომელიც მოსწავლეებს პოემიდან ციტატებით ისე უნდა შეევსოთ, რომ ვერტიკალურ სვეტში გამოსულიყო „სპორტი“ და „ვეფხისტყაოსანი“. მოსწავლეებმა აღნიშნულ დავალებებს კარგად გაართვეს თავი.

შემდეგი აქტივობა მოითხოვდა წინარე ცოდნის გააქტიურებას, მოსწავლეებს უნდა გაეხსენებინათ ეპიზოდები, სადაც ფიზიკურ კულტურასთან დაკავშირებული ტერმინოლოგია იყო: „სროლასა და ასპარეზსა აქებდიან ჩემგან ქმნილსა“, „ვბურთობდი და ვნადირობდი“, „ჩემსა სიმცროსა გამზრდელნი სამუშაითოდ მზრდიდიან“, „მეფესა ესე ამბავი უჩს, ვითა მღერა ნარდისა“, „აჰა, გული გამიჯნურდა, მიხვდომია ველთა რბენა“, „ხელმარჯვედ სცემდეს ჩოგანსა“.

შემდეგ აქტივობებზე მოსწავლეები იხსენებენ ქართველ სპორტსმენებს და, რა თქმა უნდა, ხაზგასმით აღნიშნავენ, რა დიდი მნიშვნელობა აქვს სპორტს ახალგაზრდებში ჯანსაღი ცხოვრების წესის დანერგვაში და მსმენელებს აცნობდნენ, ვინ რომელ წრეში იყო გაერთიანებული.

ტექნიკური ტერმინების სიმრავლემ გადამაწყვეტინა, ქიმიის მასწავლებელთან, **ლილი შალუტაშვილთან** ერთად, ჩამეტარებინა გაკვეთილი, სადაც საუბარი იყო: ალმასზე, ანდამატზე, ბროლზე, ლალზე, ოქროზე, ვერცხლზე, რვალსა და სხვ. გაკვეთილი საინტერესოდ წარიმართა, კვლავ გამოვიყენე კროსვორდები, გონებრივი იერიში, სახალისო კითხვები, მაგ: რომელ ტაეპშია დასახელებული ბუნებრივი სასუქი, რომელი გმირია ღვინის მსმელი და როგორ აყენებენ ღვინოს? ვინ იყვნენ ქაჯები? და ა.შ.

მოსწავლეები დავალებას კარგად ართმევდნენ თავს: „ვარდთა და ნეხვთა ვინათგან...“, „ფატმან ხათუნ თვალად მარჯვე“, „მუტრიბთა და მომღერალთა მოყვარული ღვინის მსმელი“, „იქმან რასმე საკვირველსა, მტერსა თვალსა დაურბობენ, ქართა აღვძრენ საშინელთა, ნავსა ზღვა-ზღვა დაამხობენ, სწადდეს – დღესა ბნელად იქმნან, სწადდეს – ბნელსა ანათობენ“.

მოსწავლეები განმარტავდნენ თითოეულ ტერმინს, იშველიებდნენ მენდელეევის პერიოდულ სისტემას, მოჰყავდათ მაგალითები პოემიდან, მაგ: „მისსა ვერ გასძლებს გაყრასა, გული ალმასი წრთობილი“, „გახეთქა ლალი გათლილი ანდამატისა კვერითა“, „მიეც გლახაკთა საჭურჭლე, ოქრო, ვერცხლი და რვალია“, „გასტეხს ქვასაცა მაგარსა გრდემლი ტყვიისა რბილისა“.

გაკვეთილი მეტად რთული პედაგოგიური პროცესია, რომელიც საფუძვლიანი გეგმის შედგენას მოითხოვს, მიზნების სრულყოფას, მოსწავლეებში სააზროვნო უნარების ჩამოყალიბებასა და განვითარებას. გაკვეთილი უნდა იყოს სახალისო, ადვილად გასაგები და აღსაქმელი. გაკვეთილზე უნდა იყოს ძიება, დაკვირვება, შემოქმედეთობა და, რაც მთავარია, რეალურ ცხოვრებასთან კავშირი. მოსწავლეებს ევალებათ, იცოდნენ ტექსტი. ეროვნული გამოცდების მოთხოვნებიდან გამომდინარე, ვერ გავექცევით იმას, რომ საჭიროა ზეპირად სტროფების ცოდნა.

დამაგვირგვინებელი იყო გაკვეთილი „ვკითხულობთ „ვეფხისტყაოსანს“. ნამდვილად მისასალმებელია, რომ მოსწავლეები შესავალს, დასასრულს, ანდერძს, ნესტანის წერილს, ავთანდილის ლოცვას და სხვა საზეპიროებს ზეპირად ამბობდნენ.

„მიღვწვიან, მომიგონებენ, დამლოცვენ, მოვეგონები“ – დაასკვნეს მოსწავლეებმა და შეაჯამეს სამივე გაკვეთილი. აღსანიშნავია, რომ მეთერთმეტეკლასელები გაერთიანებული არიან კასპის მოსწავლე ახალგაზდობის ლიტერატურის წრეში.

**მანანა ყაბანაშვილი**
*კასპის №1 საჯარო სკოლის პედაგოგი*

სპორტი

# საინტერესო ორთაბრძოლა ფინალში

თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტში ღვაწლმოსილი ფეხბურთელების დაფასება ტრადიციად იქცა (რექტორი – პროფესორი **ზურაბ ვადაჭკორია**; სპორტისა და ხელოვნების ცენტრის დირექტორი – **ზაურ ფხალაძე**; ამავე ცენტრის თანამშრომელი, ტურნირის მთავარი მსაჯი, ნაკრები ფეხბურთის გუნდის მწვრთელი – **ვახტანგ ბაქანიძე**, საქართველოს სპორტის დამსახურებული მოღვაწე; სტუდენტური თვითმმართველობის სპორტის ხელმძღვანელი – **სოლომონ ერგემლიძე**). უნივერსიტეტის ინიციატივით, საფუძველი ჩაეყარა თბილისის დინამოს ღვაწლმოსილი, სახელოვანი და გამოჩენილი ქართველი ფეხბურთელის, დავით ყიფიანის 65 წელთან დაკავშირებით მიძღვნილ მინიფეხბურთის ტურნირს. ტურნირების ჩატარების სიუხვით თბილისის სახელმწიფო სამედიცინო უნივერსიტეტი გამორჩეული ლიდერია უნივერსიტეტებს შორის, ეს ბევრჯერ აღინიშნა პრესის ფურცლებზე.

ამჯერად, ოქტომბერ-ნოემბრის თვეში, ტურნირში მონაწილეობის სურვილი გამოთქვა ათმა გუნდმა. გუნდები ორ ქვეჯგუფად, ხუთ-ხუთ გუნდებად გადანაწილდნენ. ჯგუფებიდან პირველ-მეორე ადგილზე გასული გუნდები გავიდნენ ნახევარფინალში.: 1) „ერაყი“-„ბარსა“ 5:4; 2) „მედიცინა“-„სიტი“ 8:4; მესამე საპრიზო ადგილი დაიკავა „ბარსამ“.

ფინალში მართლაც საინტერესო ორთაბრძოლა გაიმართა. „ერაყელები“ გამოირჩეოდნენ მოძრაობებით და კარში ხშირი დარტყმებით, ხოლო „მედიცინის“ გუნდი – პრესინგის თამაშით და მოკლე გადაცემებით.

ფინალი ბოლო წუთებში დაიძაბა და საბოლოო შედეგით – 4:2 გაიმარჯვა „მედიცინის“ გუნდმა. გუნდები დაჯილდოვდნენ თასებით, მედლებით, სიგელებით. დასახელდნენ გამორჩეული ფეხბურთელები. და დაწესებულ ნომინაციებში გამარჯვებულები:

1. საუკეთესო მეკარე – **ლუკა გვენეტაძე**, მედიცინის ფაკულტეტის IV კურსის სტუდენტი;
2. ტექნიკური ფეხბურთელი – **აჰმედ ენსაიფ** – ერაყი, უცხოენოვანი მედიცინის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი;
3. ბომბარდირი – 12 გატანილი ბურთი – **ავთანდილ ჩავლეიშვილი**, მედიცინის ფაკულტეტის I კურსის სტუდენტი;
4. ტურნირის საუკეთესო ფეხბურთელად დასახელდა **იოსებ გიოშვილი**, ფიზიკური მედიცინის და რეაბილიტაციის ფაკულტეტის III კურსის სტუდენტი.

შეირჩა გამორჩეული მოთამაშეები, რომლებიც მოსამზადებელ ჯგუფს შეავსებენ და შეეცდებიან ნაკრები გუნდის შემადგენლობაში დაიმკვიდრონ ადგილი. განსაკუთრებული ყურადღება პირველკურსელებს დაეთმობათ.

ფინალს დაესწრნენ უნივერსიტეტის პროფესორ-მასწავლებლები და სტუდენტები.

**ვახტანგ ბაქანიძე**
*ტურნირის მთავარი მსაჯი*

# ტალახაძეს ვინ მოუგებდა

რიო დე ჟანეიროს ოლიმპიადაზე მოპოვებული უდიდესი წარმატების შემდეგ, ქართველმა ძალოსნებმა, ამჯერად, ახალგაზრდებში იასპარეზეს ტრიუმფით. წინა კვირაში, ებრაულ ეილათში, ჩატარდა ევროპის ჩემპიონატი 20 და 23-წლამდელ ახალგაზრდებს შორის, სადაც ჩვენმა გუნდმა 10 მედალი მოიპოვა – 2-2 ოქრო-ვერცხლი და 6 ბრინჯაო. აქედან ერთი გოგონების მონაგარია. მედალოსანთა შორის რიოს ოლიმპიადის ტრიუმფატორ-მონაწილენიც არიან, თუმცა ამ მონაგარში დიდი წვლილი სხვებმაც შეიტანეს.

ისე მოხდა, რომ ოქრო-ვერცხლი ორივე ნაკრებმა თანაბრად გაინაწილა, თითო-თითო მოიპოვეს. 20-წლამდელებში ევროპის ჩემპიონი ბრაზილიური ოლიმპიადის მონაწილე, უკრაინიდან გადმობირებული **ანასტასია გოტფრიდი** (+75) გახდა, ვერცხლი კი **დავით ხეცურიანმა** მოიპოვა.

მოლოდინისამებრ, 23-წლიანებში მძიმეწონოსანმა ოლიმპიურმა ჩემპიონმა და მსოფლიოს რეკორდსმენმა **ლაშა ტალახაძემ** გაიმარჯვა, ვინც ორჭიდის ჯამში 440 კილოგრამი დააგროვა, რაც ახალგაზრდების რეკორდია. აღსანიშნავია, რომ ის პირველად გახდა ახალგაზრდებში ევროპის ჩემპიონი. ამ ასაკში ვერცხლის მედალი **რამინ შამილიშვილმა** (62) დაისაკუთრა, ამ წონაში კი მეორე მედალოსანიც გვყავდა – შოთა მიშველიძე მესამეზე გავიდა.

დანარჩენი ბრინჯაოს მედლები 20-წლამდელებმა მოიპოვეს, რომელთაგანაც 5 ათლეტი ავიდა კვარცხლბეკის მესამე საფეხურზე: **გიორგი დოკვაძე** (56), **გოდერძი ბერდელაძე** (62), **გოგა ჩხეიძე** (69), **რეზი დავითაძე** (85) და **გიორგი ჩხეიძე** (105).

ერთი სიტყვით, ძალოსნებს წლეულს მართლაც ოქროს სეზონი აქვთ – უფროსებმა ტრიუმფით იასპარეზეს ოლიმპიადაზე, სადაც ორი მედალი მოიპოვეს და თანაც პირველად მოხდა, როცა კვარცხლბეკზე ერთბაშად ორი ქართველი ავიდა; ახლა კი მათ მხარი ახალგაზრდებმაც აუბეს. შარშან სპორტის სამინისტრომ წლის საუკეთესო ფედერაციად ძალოსნობა დაასახელა, მაგრამ მათ ამ ტიტულის მოპოვების გაცილებით უკეთესი შანსი წლეულს აქვთ. სხვა თუ არაფერი, მხოლოდ ძალოსნობა და ჭიდაობაა ისეთი, სადაც ყველა პოზიციაზე სამი ოლიმპიური ჩემპიონი საქმიანობს – პრეზიდენტი, მთავარი მწვრთნელი და სპორტსმენი. ძალოსნობაში ესენი არიან, შესაბამისად, სამგზის ოლიმპიური ჩემპიონი **კახი კახიაშვილი**, მსოფლიოსა და ოლიმპიური ჩემპიონი **გია ასანიძე** და ამავე ტიტულების მფლობელი **ლაშა ტალახაძე**.

# ხაბელოვის II საერთაშორისო

თბილისში, ოლიმპიური პარკის ტერიტორიაზე მდებარე ფრენბურთის დარბაზში, ჩატარდა მსოფლიოს ხუთგზის და ოლიმპიური ჩემპიონის, საქართველოს ეროვნული ოლიმპიური კომიტეტის პრეზიდენტ **ლერი ხაბელოვის** სახელობის ტურნირი. ამ შეჯიბრებას საკმაოდ ხანგრძლივი ისტორია აქვს, თუმცა აქამდე ის შიდა მნიშვნელობის ტურნირი გახლდათ, ოღონდ მასში თითო-ოროლა უცხოური ნაკრები ლამის მუდმივად გამოდიოდა. ძირითადად – ვლადიკავკაზის, სომხეთის ან აზერბაიჯანის გუნდები, შარშან კი ოფიციალურად შეიძინა საერთაშორისო სტატუსი და წლეულს მეორედ გაიმართა ამ რანგში. მასში 2000-2001 წლებში დაბადებული ჭაბუკები ჭიდაობდნენ და საქართველოს სხვადასხვა რეგიონების გუნდების გარდა, უცხოელთაგან უკრაინის, აზერბაიჯანის, სომხეთის, რუსეთის და ისრაელის ნაკრებებიც მონაწილეობდნენ.

მასპინძელთათვის ეს შეჯიბრება ერთ-ერთი უმთავრესი შესარჩევი შეჯიბრება იყო საგაისო სეზონში ნაკრების დასაკომპლექტებლად, ამიტომ ბევრ მონაწილეს მოუყარა თავი, თითქმის ყველა სავარაუდო კანდიდატს, ვისაც კი ნაკრებში მოხვედრის ამბიცია აქვს.

ტურნირი ადგილობრივთა დიდი უპირატესობით წარიმართა და ოქროს მედლების უმეტესობა მათ მოიპოვეს – 10-დან 6, თუმცა ხელცარიელნი არც სტუმრები დარჩენილან, 4-მა მათგანმა გაიმარჯვა: 2 ოქრო აზერბაიჯანელებმა წაიღეს, თითო – უკრაინელებმა და სომხებმა. ერთი მედალი თავად ლერი ხაბელოვის კლუბის წევრებმაც მოიპოვეს – მძიმე წონაში **რივერი მწითური** მესამეზე გავიდა. მასპინძელთაგან შეჯიბრების გამარჯვებულები ქუთაისელები – **გიორგი ჭოლაძე** (42) და **დავით აბდალაძე** (50), გორელი **გიორგი გეგელაშვილი** (46), ამბროლაურელი **აკაკი გოქსაძე** (76), თბილისელი **დავით ქოჩქიანი** (85) და სამტრედიელი **ელგუჯა ბალანჩივაძე** (100) გახდნენ; სტუმართაგან კი 54 კილოგრამში **ანდრეი ჯელენმა** გაიმარჯვა, ხოლო 69-ში – სომეხმა **დავით გევორქიანმა.** აზერბაიჯანელებმა ორი ოქრო წაიღეს სამშობლოში – **ელმონ კაზიმოვმა** (58) და **ვახიდ ალიზადემ** (63).

ტურნირს თავად ხაბელოვის გარდა, კიდევ ერთი ოლიმპიური მედალოსანი, ევროპის წლევანდელი ჩემპიონი და რიო დე ჟანეიროს თამაშების მესამე პრიზიორი **გენო პეტრიაშვილიც** ესწრებოდა და დაჯილდოების ცერემონიალშიც მიიღო მონაწილეობა.

# გარდაბნელებმა იყოჩალეს

გლდანის ოლიმპიური მზადების ეროვნულ ცენტრში ჭაბუკთა მორიგი საერთაშორისო ტურნირი გაიმართა და ისევ თავისუფალ ჭიდაობაში, რომელიც ამჯერად **ავთანდილ მაისურაძის** საპატივცემულოდ ჩატარდა. მაისურაძე ახალგაზრდებში მსოფლიო ჩემპიონი, მსოფლიო უნივერსიადის, ყოფილი საბჭოთა კავშირის პირველობების და ხალხთა სპარტაკიადების გამარჯვებულია, თუმცა საზოგადოებას თავი, კარგ ფალავნობაზე მეტად, კინოფილმ „ხარება და გოგიაში“ შესრულებული როლით დაამახსოვრა.

მაისურაძის ტურნირი 2000-2003 წლებში დაბადებულთა შორის გაიმართა და მასში უცხოელთაგან აზერბაიჯანის და თურქეთის გუნდები მონაწილეობდნენ. ჩვენი გუნდისთვის ეს ერთ-ერთი შესარჩევი შეჯიბრება იყო საგაისო გუნდის დასაკომპლექტებლად, რაც მის მნიშვნელობას ზრდიდა.

ტურნირი მასპინძელთა უპირატესობით წარიმართა, თუმცა გულდაწყვეტილნი არც სტუმრები, განსაკუთრებით კი აზერბაიჯანელები დარჩებოდნენ – მათ 9 მედალი მოიპოვეს, აქედან: 3 ოქრო, 4 ვერცხლი და 2 ბრინჯაო, თურქებმა კი 4 ჯილდო დაისაკუთრეს (1 ვერცხლი და 3 ბრინჯაო). აზერბაიჯანელებმა განსაკუთრებით მჩატე წონებში იყოჩაღეს – პირველ სამ წონაში აზერბაიჯანული ფინალი გაიმართა, აქედან ორში კი კვარცხლბეკზე 3-3 იქაური იდგა. მათგან ჩემპიონები **რაშად მამადოვი** (38), **გურბან გურბანოვი** (42) და **გადირ კარიმოვი** (46) გახდნენ. ქართველთაგან ყველაზე კარგად გარდაბნის გუნდი გამოვიდა, რომელმაც ერთბაშად სამი ოქრო დაისაკუთრა: **რატი კანდელაკმა** (54), **გიორგი შპეტიშვილმა** (69) და **გიორგი ცოფურაშვილმა** (76), თუმცა მათ სხვა სინჯის მედლებიც ბლომად მოინადავლეს. მასპინძელთაგან დანარჩენ წონებში ჩემპიონები გახდნენ: სენაკელი **დავით ოჩიგავა** (50), ზესტაფონელი **გიორგი პერტაია** (58), ქუთაისელი **ჯემალ არველაძე** (63), თბილისელი **ნიკა აფციაური** (85) და ოზურგეთელი **კუკური ბარბაქაძე** (100).

# „ლელოს“ ლელო

ჭაბუკ მორაგბეთა „ა“ ლიგაში ბოლო ლელო თბილისის „ლელომ“ დადო – ამ დღეებში ქუთაისში გამართულ ფრიად დაძაბულ საჩემპიონო ფინალში მასპინძელ „აიას“ 2 ქულით, 15:13 მოუგო და მიმდინარე სეზონის გამარჯვებული გახდა. მესამე ადგილი და ბრინჯაოს მედალი თბილისის „ხარებმა“ მოიპოვა, რომელმაც „შევარდენზე“ გამართულ დასკვნით პაექრობაში „ლოკომოტივს“ 10:3 აჯობა.

# ქუთაისი ფრენბურთშიც მაგარია

ქუთაისელ ფრენბურთელთა გამარჯვებით დასრულდა საქართველოს წლევანდელი ჩემპიონატი 2001-2002 წლებში დაბადებულ ვაჟთა შორის, რომელიც 7-10 დეკემბერს გაიმართა. იმერლებმა ფინალში გორის გუნდი 2:0 დაამარცხეს და ოქროს მედლებს დაეუფლნენ, მესამეზე კი საჩხერის გუნდი გავიდა, რომელმაც გადამწყვეტ შეხვედრაში ასეთივე ანგარიშით ბათუმელებს აჯობა.

# პატარებმა კარგად ისრიალეს

11 დეკემბერს, ბუდაპეშტში, დამთავრდა ფიგურულად მოციგურავეთა საერთაშორისო ტურნირი „სანტა კლაუსის თასი 2016“, რომელშიც წარმატებით ისრიალეს ჩვენმა სპორტსმენებმა. უფროსებში ოქროს მედალი რუსეთიდან დაბრუნებულმა **მორის ყვითელაშვილმა** მოიპოვა, ვინც პირველად იასპარეზა საქართველოს სახელით და მოლოდინს გადააჭარბა, ოთხმაგი ტულუპი და ოთხმაგი სალხოვი შეასრულა. ამავე ასაკში ვერცხლი **ირაკლი მაისურაძემ** ირგუნა, თუმცა ახალგაზრდებიც დიდი წარმატებით გამოვიდნენ. გოგონებში ჩემპიონობა არავის დაუთმო **ანადეა გულბანი-შმიდტმა**, რომელმაც ასევე ჩინებულად ისრიალა. ვერცხლის მედლები მოიპოვეს **ნიკა ეგაძემ**, **ილია გოგიტიძემ** და **ნატალი ლომინეიშვილმა**. აღსანიშნავია, რომ ლომინეიშვილი მხოლოდ 10 წლისაა და პირველად იასპარეზა უცხოეთში, როგორც მისივე თანატოლებმა – **ნანა მსხვილიძემ** და **ეკატერინე იაზადჯიმ**. ამათგან მსხვილიძეს ცოტა დააკლდა მედლამდე, მეოთხეზე გავიდა.

აქვე გეტყვით, რომ ეგაძე გაისად, თებერვალში, თურქულ ერზრუმში, ევროპის ზამთრის ახალგაზრდულ ოლიმპიურ ფესტივალშიც მიიღებს მონაწილეობას.

*ირაკლი თავაძე*

წიგნის თვრო

# მიმდინარეობს ხელმოწერა

ნიგნი I ძველი ქართული მწერლობა

ნიგნი II „ვეფხისტყაოსანი“

ნიგნი III XIX საუკუნის მწერლობა

ნიგნი IV XX საუკუნის მწერლობა

თითო ტომის ფასი – 12 ლარი

## საყმაწვილო ენციკლოპედია „რა არის რა“

ამინდი, არქიტექტურა, კრიმინალისტიკა, ჯანსაღი კვება, მთები, ევროპა, ოლიმპიური თამაშები, მეკობრეები, ქიმია, ხალხთა დიდი გადასახლება, მეცნიერებები, უძველესი ადამიანი

თითო ტომის ფასი – 9 ლარი

გაკურ სულაკაურის გამომცემლობა

## მოვემზადოთ საატესტატო გამოცდებისთვის

**კრებულში შესულია პროგრამით გათვალისწინებული თეორიული მასალა და ტესტები. გაღასაფხეკი ფენის ქვეშ მოთავსებულია ენიკალური კოდი. ეს კოდი შეიყვანეთ სპეციალურ აპლიკაციაში, რომელიც გათავსებულია გამომცემლობის ოფიციალურ ფეისბუქგვერდზე**

fb.com/bakursulakauripublishing

**ერთი კოდის გამოყენება შეუძლია მხოლოდ ერთ მოსწავლეს. ელექტრონული ტესტები შეიძლება ჩაბარდეს როგორც თემების მიხედვით, ასევე შერეულად.**

კრებულის ფასი – 9.90ლ

ბიოლოგია, ქიმია, ფიზიკა, გეოგრაფია

## ქართული ენის კრებულები

სერიის ფასი – 17.70ლ

**ეროვნული სასწავლო გეგმით გათვალისწინებული მრავალტიკის თეორიული კურსი და სავარჯიშოები.**

## ნამდვილი და მოგონილი ამბები

**სერია „ნამდვილი და მოგონილი ამბები“ შექმნილია I-VI კლასების მოსწავლეებისათვის, „კითხვის საათის“ სპეციფიკის გათვალისწინებით.**

სერიის ფასი – 30.40ლ

### ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის

**ცნობარი დაწყებითი კლასების პედაგოგებისთვის** მომზადდა დაწყებითი კლასების მასწავლებლების საჭიროების გათვალისწინებით. მოიცავს: საგნობრივ, თეორიულ მასალას; ცოდნის შესამოწმებელ ტესტებს, რაც საგნობრივი გამოცდისთვის მომზადებაში დაეხმარებათ.

**14 ლარი**

### ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში

**ინოვაციური გაკვეთილები დაწყებით კლასებში** – წიგნში თავმოყრილია დაწყებითი კლასებისთვის აქტუალური სწავლების მეთოდების გამოყენებით შექმნილი გაკვეთილის სცენარები ქართულში, მათემატიკაში და ბუნებაში. სახელმძღვანელო დაეხმარება მასწავლებელს მოსწავლეებს განუვითაროს: წიგნიერების, მედიაწიგნიერების, მათემატიკური წიგნიერებისა და კვლევითი უნარები, კრიტიკული და შემოქმედებითი აზროვნება.

**6,50 ლარი**

### მასწავლებლის სამუშაო რვეული



**მასწავლებლის სამუშაო რვეული** პორტფოლიოს განუყოფელი ნაწილია. რვეულის სტრუქტურა საშუალებას აძლევს მასწავლებელს:

1. საჭიროებისამებრ შეავსოს გაკვეთილის დაგეგმვის სქემების მოკლე ან სრული ვარიანტები;
2. გაეცნოს გაკვეთილის დაგეგმვის რეკომენდაციებს;
3. გაეცნოს გაკვეთილის მოკლედ და დეტალურად დაგეგმვის ნიმუშებს.

**4 ლარი**

### კათედრის გამგის პორტფოლიო

**კათედრის გამგის პორტფოლიო** საშუალებას აძლევს კათედრის გამგეს აღრიცხოს, გააფორმოს, აღწეროს ეროვნული სასწავლო გეგმით განსაზღვრული საქმიანობები. შესავსები სქემების, ცხრილებისა და კათედრის სხდომის ოქმების გარდა, პორტფოლიო შეიცავს მეთოდურ რეკომენდაციებს, რაც დაეხმარება კათედრის ხელმძღვანელს პორტფოლიოს წარმოებაში და მისი საქმიანობის განხორციელებაში.

**6 ლარი**

### ინტერაქტიური მეთოდების კრებული

კრებულში აღწერილია **ინტერაქტიური სწავლების მეთოდები**; მოცემულია თითოეული მეთოდის გამოყენების ეტაპობრივი აღწერა; განხილულია, რა უნარებს ავითარებს თითოეული მეთოდი; დასახელებულია თითოეული მეთოდის გამოყენების წინაპირობა. კრებულში თავმოყრილია 50-მდე მეთოდის აღწერა.

**6 ლარი**

### მასწავლებლის კალენდარი

2015-2016 სასწავლო წლის კალენდარი ისეა შედგენილი, რომ მასწავლებელს მთელი სასწავლო წლის განმავლობაში შეუძლია **დაგეგმოს და ჩაინიშნოს** მისთვის საჭირო და სასურველი აქტივობები და ინფორმაციები. კალენდარი ყოველკვირეულად აწვდის მასწავლებელს მისთვის მნიშვნელოვან პრაქტიკულ, **პედაგოგიურ რჩევას თუ საჭირო ინფორმაციას**.

**კალენდარს ახლავს** პირველი და მეორე სემესტრისთვის განკუთვნილი შესავსები გაკვეთილების ცხრილი, მნიშვნელოვანი აქტივობების რეესტრი და თავისუფალი ფურცლები, რაც მოსახერხებელია, რათა მასწავლებელს ყველა საჭირო ინფორმაცია ერთად ჰქონდეს განთავსებული.

**5,50 ლარი**

**ხელმოწერის თანხა გადმორიცხეთ რეკვიზიტებზე:**
**მიმღები – შპს „ახალი განათლება“, ს/კ 202058735, ა/ა GE93LB0113314052305000, ს/ს „ლიბერთი ბანკი“, ბ/კ LBRTGE22**
**ფიზიკურმა პირებმა, თანხის გადმორიცხვისას, მიუთითეთ პირადი ნომერი. შეძენის მსურველები დაგვიკავშირდით: 599880073, 0322958023**

# სოციალური ინკლუზია

სასტუმრო „ლოპოტა სპა რეზორტში“ სამდღიანი სამუშაო შეხვედრა ჩატარდა, სადაც საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში დამეგობრებულმა ბენეფიციარებმა და მოხალისეებმა (მათ შორის მესხი, ბოშა, უსინათლო, მცირედმხედველი და ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლის მოსწავლეები) ბოშების მიმართ ცნობიერების ამაღლების მიზნით, ერთად დაამუშავეს ბოშების ისტორიის ყოფისა და კულტურის საკითხები, რომლებიც 10 დეკემბერს ქვეპროგრამის კონფერენციაზე წარმოადგინეს. მონაწილეებს ა(ა)იპ-მა „ბერილუსი“ ჩაუტარა სემინარი „პროექტის წერა და პრეზენტაციის უნარები“.

ღონისძიება ჩატარდა ახმეტის მუნიციპალიტეტის სოფელ დუისის საჯარო სკოლისა და ა(ა)იპ „ბერილუსის“ თანამშრომლობით მომზადებული პროექტის „ხელსაყრელი გარემო თანაბარი შესაძლებლობებისათვის“ ფარგლებში, რომელიც დაფინანსდა საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტროს „ინკლუზიური სწავლების ხელშეწყობის პროგრამის“ „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ მიერ.

10 დეკემბერს, ილიას სახელმწიფო უნივერსიტეტის საკონფერენციო დარბაზში „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ შემაჯამებელი კონფერენცია გაიმართა, სადაც მოწვეულმა სტუმრებმა მოისმინეს ბენეფიციარების – სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდებისა და მოხალისეების, საჯარო სკოლების მოსწავლეების მიერ მომზადებული პრეზენტაციები „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამის“ ფარგლებში განხორციელებული ღონისძიებების შესახებ.

ქვეპროგრამის მონაწილეებმა (საჯარო სკოლების მოსწავლეებმა, სტუდენტებმა და სსსმ მოზარდებმა, მათ შორის, ბოშებმა) დამსწრე საზოგადოებას გააცნეს ინფორმაცია საქართველოში მცხოვრები ბოშების ისტორიისა და კულტურის, მათი ყოველდღიური ცხოვრებისა და პრობლემების შესახებ.

კონფერენციის მიზანი იყო სოციალური ინკლუზიის აუცილებლობასა და საგანმანათლებლო დაწესებულებებში სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდებისათვის კეთილგანწყობილი საგანმანათლებლო გარემოს შექმნის თაობაზე საზოგადოების ცნობიერების ამაღლება.

საქართველოს განათლებისა და მეცნიერების სამინისტრო, უკვე რამდენიმე წელია, განსაკუთრებული ძალისხმევით ზრუნავს ეთნიკური უმცირესობებისა და, მათ შორის, ბოშა მოზარდების საგანმანათლებლო სისტემაში ჩართვაზე. სახელმწიფო ენის ცოდნის გაუმჯობესებისა და თანატოლებთან სოციალიზაციის მიზნით, შემუშავებულია „სოციალური ინკლუზიის ხელშეწყობის ქვეპროგრამა“, რომელიც ითვალისწინებს სკოლაში, თავისუფალ დროს, ინკლუზიის პრინციპებზე დაფუძნებული აქტივობების განხორციელებას. ეს აქტივობები (კითხვისა და თეატრის კლუბები; სათემო შეხვედრები და აქციები; კონფერენციები) საერთო ინტერესის ფარგლებში იზიდავს ბენეფიციარებს (სპეციალური საგანმანათლებლო საჭიროების მქონე მოზარდები, მათ შორის, განსხვავებული რელიგიური აღმსარებლობის – მესხი, ქისტი, ბოშა მოზარდები) და მოხალისე თანატოლებს. სწორედ მოხალისე თანატოლებთან თანაცხოვრებითა და ურთიერთთანამშრომლობით მოხდა, ერთი მხრივ, ბენეფიციარ მოზარდებში მათი თანატოლებისა და სასწავლო პროცესის მიმართ ნდობის გაზრდა და განათლების მიღების მოტივაციის ამაღლება და, მეორე მხრივ, საგანმანათლებლო დაწესებულებებში მათ მიმართ კეთილგანწყობილი გარემოს შექმნა.

პროგრამის ფარგლებში, მიმდინარეობს საჯარო სკოლის მოხალისეების გადამზადება ბენეფიციარებთან სათანამშრომლოდ; გადამზადებული ბენეფიციარები, მოხალისეებთან ერთად, ერთვებიან საზოგადოებრივ ცხოვრებაში, მონაწილეობენ ახალი ბენეფიციარების მოზიდვასა და მათ წინაშე არსებული პრობლემების იდენტიფიცირებაში.

კონფერენციაზე აღინიშნა, რომ მნიშვნელოვანია, სახელმწიფოს მხრიდან ეთნიკური უმცირესობებისა და, მათ შორის, ბოშათა უფლებების დაცვისათვის უფრო ქმედითად ხორციელდებოდეს ისეთი პროგრამები, რომლებიც, ეთნიკური იდენტობის შენარჩუნებასთან ერთად, უზრუნველყოფს დომინანტ საზოგადოებაში მათ ინტეგრაციას.




თამაზ ვასაძე
კომენტირებული ტექსტი და ანალიტიკური გზამკვლევი
12 ლარი




ფიზიკა
საატესტატო გამოცდისთვის
ქ. ტატიშვილი, ზ. ბერაია
10 ლარი

ქართული ენის გრამატიკა
სინტაქსი
სასკოლო კურსი
ნ. შარაშენიძე
7 ლარი

თამარ ბერიზაშვილი
ქართული ენის სასკოლო განმარტებითი ლექსიკონი (ორტომეული)
10 ლარი

თამაზ ვასაძე
ქართული ავიოგრაფიული ჟრობა ლიტერატურის შემსწავლელთათვის
4 ლარი




ბიოლოგია
ერთიანი
გამოცდებისთვის
ლ. ბერდილაძე, ნ. სიხარულიძე, ქ. გალრაძე, ლ. ნაზირაშვილი
I ნაწილი – 10 ლარი
II ნაწილი – 10 ლარი



ახალი განათლება

მთავარი რედაქტორი:
მარიკა ჩიქოვანი

მისამართი: 0102 თბილისი, ტეტელაშვილის ქ. №3
ტელ.: 032 295 80 23, 599 880073
www.axaliganatleba.ge axaliganatleba@gmail.com

**რედაქციის საბანკო რეკვიზიტები:** შპს „ახალი განათლება“ ს/კ 202058735
ა/ა GE86BG0000000123631000GEL, ს.ს. „საქართველოს ბანკი“ ბ/კ BAGAGE22,

ISSN 2233-386X



რედაქციაში შემოსული ხელნაწერები არ რეცენზირდება და ავტორებს არ უბრუნდებათ.


CMYK